



ICON•S საქართველო

II ყოველწლიური კონფერენცია

**ქართული საჯარო სამართალი
და ევროპული ინტეგრაციის
გამოწვევები**

აბსტრაქტების კრებული

2024

ICON•S GEORGIA

II ANNUAL CONFERENCE

**GEORGIAN PUBLIC LAW AND THE
CHALLENGES FOR THE EUROPEAN
INTEGRATION**

BOOK OF ABSTRACTS

2024

საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება
ICON-S საქართველო

International Society of Public Law
ICON-S Georgia



www.icon-society.ge

II ყოველწლიური კონფერენცია
“ქართული საჯარო სამართალი და ევროპული
ინტეგრაციის გამოწვევები”

28-29 სექტემბერი 2024 – თბილისი, საქართველო

II Annual Conference
“Georgian Public Law and the Challenges
for the European Integration”

28-29 September 2024 – Tbilisi, Georgia

კონფერენციის აბსტრაქტების კრებული
CONFERENCE ABSTRACTS BOOK

2024

რედაქტორები Editors

პროფესორი მალხაზ ნაკაშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო	Professor Malkhaz Nakashidze Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
---	---

პროფესორი მაია კოპალეიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო	Professor Maia Kopaleishvili Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
---	--

**II ყოველწლიური კონფერენცია
“ქართული საჯარო სამართალი და ევროპული
ინტეგრაციის გამოწვევები”**

**II Annual Conference
“Georgian Public Law and the Challenges
for the European Integration”**

კონფერენციის აბსტრაქტების კრებული

CONFERENCE ABSTRACTS BOOK

გამოქვეყნებულია
საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება
ICON•S საქართველოს მიერ

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი

ნანა ჭილაძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დimitრი გეგენავა, პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
თამარ გურჩიანი, ასიცირებული პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი
გიორგი ალავერდაშვილი, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკა კაველიძე, პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი
ნიკოლოზ მეგრელიშვილი, დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტი,
მონვეული ლექტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანა ფირცხალაშვილი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი

Published by
The Georgian Chapter of the International Society of Public Law
ICON•S Georgia

ილია ჭავჭავაძის გამზ. N3, თბილისი, 0179
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, ბათუმი, 6010

E-mail: info@icon-society.ge
Website: <https://www.icon-society.ge>

ISBN 978-9941-8-7778-0 (Online)

© „ICON•S საქართველო“ – 2025

თბილისი-ბათუმი, 2025/Tbilisi-Batumi, 2025

შინაარსი/Contents

ნინო ცუხიშვილი , კეთილსინდისიერების ორგანიზაციული პოლიტიკის შემუშავება საქართველოს საჯარო დაწესებულებებში -----	7
Nino Tsukhishvili , Developing an Organizational Integrity Policy in Georgian Public Institutions -----	8
ანა კუჭუხიძე , სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმი ქართულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში -----	9
Ana Kuchukhidze , Mechanism for Suspending the Operation of a Disputed Norm in Georgian Constitutional Proceedings -----	10
ხათუნა ლორია , საჯარო მოხელის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები -----	11
Khatuna Loria , Legal Grounds for Dismissal of a Civil Servant -----	12
გიორგი ალავერდაშვილი , საკონსტიტუციო იდენტობების აღმოჩენა საქართველოში, ევროკავშირსა და მსოფლიოში -----	13
Giorgi Alaverdashvili , Discovering Constitutional Identities in Georgia, in the EU and in the World -----	14
მურმან გორგოშაძე , სამართლიანობისა და სამართლის (კანონის), როგორც სამართლებრივი ღირებულებების ურთიერთმიმართების საკითხისთვის -----	15
Murman Gorgoshadze , Relationship Between Justice and Law as Legal Values -----	16
ლანა ცანავა , დავიწყების უფლება, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია და მისი რეალიზებასამართალდაცვით საქმიანობაში -----	17
Lana Tsanava , The Right to be Forgotten as a Guarantee of the Protection of the Right to Privacy and its Implementation in Law Enforcement -----	18
ეკა კაველიძე , საპარლამენტო კონტროლის გავლენა საქართველოს კონსტიტუციის სტაბილურობაზე -----	19
Eka Kavelidze , The Impact of Parliamentary Control on the Stability of the Constitution of Georgia -----	20
მალხაზ ნაკაშიძე , საქართველოს პროგრესი დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ევროინტეგრაციის პროცესში -----	21
Malkhaz Nakashidze , Georgia's Progress in the Field of Democracy, Rule of Law and Human Rights in the European Integration Process -----	22
იოსებ შოთაძე , ევროკავშირის არმია როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის ალტერნატიული მექანიზმი ევროპაში -----	23
Ioseb Shotadze , The EU Army as an Alternative Mechanism for Security and Defense in Europe -----	24

ნიკოლოზ მეგრელიშვილი , ღია მმართველობა პარტნიორობის (OGP) და ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში -----	25
Nikoloz Megrelishvili , Implementation of the Open Government Partnership (OGP) and the Association Agreement in the Autonomous Republic of Adjara -----	26
თამარ ავალიანი , ევროპული სასამართლოს პროგრესული სამოსამართლო აქტივობი გამოხატვის თავისუფლების სფეროში და მისი გავლენა ბოლო პერიოდის ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე -----	27
Tamar Avaliani , The Progressive Judicial Activism of the European Court of Human Rights in the Field of Freedom of Expression and its Influence on Recent Georgian Judicial Practice -----	28
თამარ გვარამაძე , შიდა უწყებრივი დოკუმენტი, როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი საქართველოში -----	29
Tamar Gvaramadze , Internal Departmental Document as a Basis for Restricting Access to Public Information in Georgia -----	30
მაკა ფარცვანია , საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის როლი ბაზრის დერეგულაციებში ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტში -----	31
Maka Partsvania , The Role of the Georgian Energy Exchange in Market Deregulation In the Context of the EU Association Agreement -----	32
ანა ტაკაშვილი , სასამსახურო ხელშეკრულება, როგორც ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გამონკვევა -----	33
Ana Takashvili , Employment Contract as a Challenge for Harmonization with the Association Agreement and European Legislation -----	34
ნატი გელოვანი , ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროებითი ღონისძიების მექანიზმი -----	35
Nati Gelovani , Electronic Surveillance as a Temporary Measure Mechanism for Responding to the Fact of Violence -----	36
გიორგი ეპიტაშვილი , ინფორმირებული თანხმობა და პაციენტის უფლებების დაცვა შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში -----	37
Giorgi Epitashvili , Informed Consent and Protection of Patient Rights in a Comparative Legal Perspective -----	38
ცისია ოქროპირიძე , ქორწინება როგორც განვითარებადი უფლება: ქართული მონესრიგება ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის კონტექსტში -----	39
Tsisia Okropiridze , Marriage as an Emerging Right: Georgian Regulation in the Context of European Human Rights Law -----	40
გიორგი კვირიკაშვილი , ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის ზეგავლენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის პროცესში -----	41

Giorgi Kvirikashvili , The Impact of the EU Artificial Intelligence Act on the Practice of the European Court of Human Rights in the Process of Implementing Artificial Intelligence -----	42
მერი კანთელაშვილი , სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ქრილში -----	43
Meri Kantelashvili , Fair Administrative Proceedings and the Right to a Fair Trial in the Context of the Association Agreement with the European Union -----	44
მაია მხატვრიშვილი , პროფაილინგი, ხელოვნური ინტელექტი და გამოწვევები ევროკავშირის “ხელოვნური ინტელექტის აქტით”-ან მიმართებით -----	45
Maia Mkhatchvishvili , Profiling, Artificial Intelligence, and Challenges in the Context of the EU “Artificial Intelligence Act” -----	46
სოფიო ბარნაბიშვილი , საჯარო აქტის გავლენა კერძო სამართლებრივ ურთიერთობაზე -----	47
Sophio Barnabishvili , The Impact of Public Acts on Private Legal Relations -----	48
მაკა სალხინაშვილი , ელექტრონული მმართველობის განვითარება, არსებული პრობლემები, ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები -----	49
Maka Salkhinashvilimaka , Development of E-governance, Existing Problems, Shortcomings and Ways to Eliminate them -----	50
ნორიკო თავბერიძე , მზრუნველობამოკლებული ბავშვის სოციალური დაცვა და ევროკავშირის სამართლის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები -----	51
Noriko Tavberidze , Social Protection of Children Without Appropriate Care and Challenges Related to Harmonization of EU Law -----	52
პაატა ჯავახიშვილი , ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში -----	53
Paata Javakhishvili , Formal Constitutional Control in the Georgian Legal Perspective -----	54
დიმიტრი გეგენავა , გამჭვირვალობის კანონი და სამართლის უზენაესობის გამოწვევები -----	55
Dimitry Gegenava , Transparency Law and Challenges to the Rule of Law -----	56
გიორგი გორაძე , გამჭვირვალობის კანონი შედარებით პერსპექტივაში -----	57
Giorgi Goradze , Transparency Law in a Comparative Perspective -----	58
იოსებ ედიშერაშვილი , გამჭვირვალობის კანონები და საერთაშორისო მართლმსაჯულება -----	59
Ioseb Edisherashvili , Transparency Laws and International Justice -----	60

ქეთევან ბახტაძე , დემოკრატიის ეროზია კანონმდებლობის საფარქვეშ: „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე -----	61
Ketevan Bakhtadze , Erosion of Democracy Under the Cover of Legislation: The Impact of Georgia's Law on Transparency of Foreign Influence on Civil Society -----	62
გოგა ხატიაშვილი , პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე გამჭვირვალობის კანონის მოქმედების პირობებში -----	63
Goga Khatiaashvili , The Threat of Invasion of Personal Data and Privacy Under the Transparency Law -----	64
ნატო გუგავა , პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სამართლის განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო გამოცდილება -----	65
Nato Gugava , Development Trends and International Experience of Georgian Personal Data Protection Law -----	66
სალომე ქავთარაძე , კონკურენციის სამართალი და მისი მნიშვნელობა მომხმარებლისათვის - მისი აპროქსიმაციის გზა ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში -	67
Salome Kavtaradze , Competition Law and Its Importance for the Consumer - The Way of its Approximation in the Legal Space of the European Union -----	68
ლიკა კობალაძე , ელექტრონული კომერციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის სტანდარტი ევროკავშირსა და საქართველოში -----	69
Lika Kobaladze , Personal Data Processing and Protection Standards in the Process of E-Commerce in the European Union and Georgia -----	70
ოლიკო კობახიძე , ელექტრონული კომერცია ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობაში - ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სამართალთან და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება -----	71
Oliko Kobakhidze , Electronic Commerce in Business-Consumer Relations – Harmonization of Georgian Legislation with European Law and Fulfillment of Obligations Under the Association Agreement -----	72
ნანა ჭილაძე , პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოწვევები საარჩევნო პროცესში -----	73
Nana Chighladze , Personal Data Protection Challenges in the Electoral Process -----	74
თამარ ონიანი , საქართველოს საარჩევნო გარემო (კანონმდებლობა და პრაქტიკა) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შუქზე -----	75
Tamar Oniani , Georgia's Electoral Environment (legislation and practice) According to International Human Rights Law Standards -----	76
თორნიკე გოგისვანიძე , არჩევნების მონიტორინგი და მედია გაშუქება - თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ -----	77

Tornike Gogisvanidze , Election Monitoring and Media Coverage - In the Footsteps of Modern Challenges -----	78
გიორგი ეზუგბაია , სანდო საარჩევნო პროცესი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი -----	79
Giorgi Ezugbaia , redible Electoral Process as a Cornerstone of a Democratic State -----	80
თამარ გურჩიანი , საქართველოში ქალთა დაბალი პოლიტიკური ჩართულობის გამოწვევების გადაჭრის გზები ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე -----	81
Tamar Gurchiani , Ways to address the challenges of Low Political Participation of Women in Georgia Based on the Example of EU Countries -----	82
ხატია ცეცხლაძე , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მათი პოლიტიკური ჩართულობა არჩევნებში -----	83
Khatia Tsetskhladze , Rights of Persons with Disabilities and their Political Involvement in Elections -----	84
მანუჩარ ცეცხლაძე , ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში -----	85
Manuchar Tsetskhladze , Political Involvement of Ethnic Minorities in Georgia -----	86
ნატო მირზაშვილი , ემიგრანტების არჩევნებში ჩართულობა - გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე -----	87
Nato Mirzashvili , Immigrants' Participation in Elections – Challenges and Ways to Solve them on the Example of EU Countries -----	88
ICON-S საქართველოს II ყოველწლიური კონფერენციის პროგრამა -----	89
ICON-S Georgia 2nd Annual Conference Program -----	96

კეთილსინდისიერების ორგანიზაციული პოლიტიკის შემუშავება საქართველოს საჯარო დაწესებულებებში

ნინო ცუხიშვილი

ასოცირებული პროფესორი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

ninotsukhishvili@yahoo.com

საჯარო დაწესებულების მიერ კეთილსინდისიერების ინსტიტუციური პოლიტიკის შემუშავება საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც ხელს უწყობს საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, აუმჯობესებს საჯარო დაწესებულების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საქართველოს მთავრობის მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და საჯარო დაწესებულებების მიერ ორგანიზაციული კეთილსინდისიერების პოლიტიკის შემუშავება ევროპაში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. 2019 წელს საქართველოს ეროვნულმა ანტიკორუფციულმა საბჭომ დაამტკიცა კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია, რაც ეფექტური მექანიზმია საჯარო დაწესებულების მიერ კეთილსინდისიერების რისკების იდენტიფიცირების, კორუფციის პრევენციის ღონისძიებების განსაზღვრისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შესამუშავებლად. ამ პერიოდის განმავლობაში, თორმეტმა საჯარო დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა კეთილსინდისიერების ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტები. მოხსენების მიზანია საქართველოში, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, თორმეტი საჯარო დაწესებულების მიერ კეთილსინდისიერების ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესის და დაშინარსის შეფასება. სტატიაში წარმოადგენილია კეთილსინდისიერების ინსტიტუციური პოლიტიკის შემუშავების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შედარებითი ანალიზი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს მიერ არის შემუშავებული. მოხსენება გამოავლენს ძირითად ტენდენციებს, მიღწევებსა და გამოწვევებს კეთილსინდისიერების ინსტიტუციური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციებს ამ პროცესის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: კეთილსინდისიერების პოლიტიკა, საჯარო ინსტიტუტები, კორუფცია, ინსტიტუტები, კანონმდებლობა.

Developing an Organizational Integrity Policy in Georgian Public Institutions

Nino Tsukhishvili

Associate Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

ninotsukhishvili@yahoo.com

The development of an institutional integrity policy by a public institution is one of the important mechanisms of public governance reform, which contributes to the fight against corruption in the public service, improves the transparency and accountability of public institutions. The fight against corruption by the Government of Georgia and the development of an organizational integrity policy by public institutions are an important prerequisite for integration into Europe. In 2019, the National Anti-Corruption Council of Georgia approved the Corruption Risk Assessment Methodology, which is an effective mechanism for identifying integrity risks by public institutions, determining corruption prevention measures, and developing evidence-based policy documents. During this period, twelve public institutions developed and approved institutional integrity policy documents. The aim of the article is to assess the process and content of developing institutional integrity policy documents by twelve public institutions in Georgia, at the central and local self-government levels. The paper presents a comparative analysis of international and national standards for developing institutional integrity policies, which have been developed by international organizations and the National Anti-Corruption Council of Georgia. The paper identifies the main trends, achievements and challenges in the process of developing institutional integrity policies and presents recommendations for improving this process.

Keywords: Integrity Policy, Public Institutions, Corruption, Institutions, Legislation.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმი ქართულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

ანა კუჭუხიძე

ასისტენტ-პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
kuchukhidzeana@gmail.com

მსოფლიოს საკონსტიტუციო სასამართლოებს აერთიანებს ერთ მიზანი - კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა და კონსტიტუციური უფლებების დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად საკონსტიტუციო სასამართლოები აღჭურვილნი არიან სპეციფიური უფლებამოსილებებით. მათ შორის, არაერთ ქვეყანაში, საკონსტიტუციო სასამართლოებს გააჩნიათ დროებითი და პრევენციული ღონისძიებების მეტ-ნაკლებად ფართო სპექტრი. რაც შეეხება საქართველოს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა უფლების დაცვის პრევენციული საშუალების ერთადერთ სახეს - სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმს ითვალისწინებს. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია პრევენციული ღონისძიებების მრავალფეროვანი არჩევანი, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება შეაჩეროს სადავო ნორმა, თავისი მნიშვნელობის გამო ვენეციის კომისიის მიერ აღიარებულია გამოუსწორებელი ზიანისგან ინდივიდის დაცვის პრინციპის აუცილებელ გაგრძელებად. შესაბამისად, ნათელია კონსტიტუციის უზენაესობის დასაცავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის ხელთ არსებული ერთადერთი პრევენციული მექანიზმის - სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების უფლებამოსილების - სწორი და ეფექტური გამოყენების უდიდესი მნიშვნელობა. ამის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას საკონსტიტუციო სასამართლო იშვიათ შემთხვევებში მიმართავს. ცხადია, ერთის მხრივ, ამის მიზეზად შესაძლოა დასახელდეს მოსარჩელეთა მხრიდან არასათანადოდ ფორმულირებული მოთხოვნა, თუმცა, მეორე მხრივ, ვერ გამოირიცხება გარკვეული ხარვეზები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებში. სწორედ ამიტომ, ევროკომისიის მიერ გაუღერებულ რეკომენდაციებთან და ქართულ რეალობაში არსებულ საჭიროებებთან თავსებადობის შესაფასებლად, კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ამ სტანდარტების სისტემატიზაცია, მათი კრიტიკული ანალიზი და სტანდარტების დახვეწის მიზნით, ქართული რეალობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმები, ევროკომისია, ნორმების შეჩერება.

Mechanism for Suspending the Operation of a Disputed Norm in Georgian Constitutional Proceedings

Ana Kuchukhidze

Assistant Professor, Grigol Robakidze University
kuchukhidzeana@gmail.com

Constitutional courts around the world are united by one goal - ensuring the supremacy of the constitution and protecting constitutional rights. To achieve this goal, constitutional courts are equipped with specific powers. Among them, in a number of countries, constitutional courts have a wide range of temporary and preventive measures. As for Georgia, the Georgian legislation on constitutional proceedings provides for the only type of preventive remedy for the protection of rights - the mechanism for suspending the operation of a disputed norm. Thus, the Constitutional Court of Georgia does not have a wide range of preventive measures, however, it is fair to note that the power granted to it by law to suspend the contested norm, due to its importance, has been recognized by the Venice Commission as a necessary extension of the principle of protecting the individual from irreparable harm. Accordingly, the utmost importance of the correct and effective use by the Constitutional Court of Georgia of the only preventive mechanism at its disposal - the power to suspend the operation of the contested norm - is clear for the protection of the supremacy of the Constitution. Despite this, an analysis of the practice of the Constitutional Court of Georgia confirms that the Constitutional Court resorts to suspending the operation of the contested norm in rare cases. Of course, on the one hand, this may be due to an improperly formulated request by the plaintiffs, but on the other hand, certain shortcomings in the standards established by the Constitutional Court cannot be ruled out. That is why, in order to assess the compatibility with the recommendations voiced by the European Commission and the needs existing in Georgian reality, the aim of the paper presented at the conference is to systematize these standards, critically analyze them, and develop appropriate recommendations for improving the standards, considering Georgian reality and international experience.

Keywords: Constitutional Court, Disputed norms, European Commission, Suspending Norms.

საჯარო მოხელის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები**ხათუნა ლორია**

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

khatuna.loria@tsu.ge

საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ” ადგენს საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს და წესს. პროფესიული საჯარო მოხელის გათავისუფლების საფუძველი იყოფა სავალდებულო (მუხ.107) და არასავალდებულო, ფაკულტატურ (მუხ.108) საფუძვლებად. ამგვარი დიფერენცირების წინაპირობად განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმები, ასევე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილება, რაც დაკავშირებული შეიძლება იყოს რიგ ობიექტურ გარემოებებთან (მოხელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გამოცდილება, სტატუსი, საჯარო სამსახურის ინტერესი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს დისკრეციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საფრთხე არ უნდა შეექმნას როგორც სამართლის წინაშე თანასწორობის, კანონის უზენაესობის პრინციპის, ისე საჯარო სამსახურის განხორციელების ლეგიტიმურ ინტერესს. არის შემთხვევები, როცა ცალკეული მოხელის პროფესიონალიზმი, მისი გამოცდილება, ინსტიტუციური მეხსიერება მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს სამსახურში დამაგრების საჯარო სამართლებრივ ინტერესს, ასეთ შემთხვევას ჩვენ ვერ გავაიგივებთ სუბიექტურ ინტერესთან და მიდგომა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება განსხვავებულიც იყოს. მოხელის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება კანონიერი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების კრიტერიუმები. აღსანიშნავია პროცედურული წესრიგის დაცვის აუცილებლობა, რომელიც ასევე გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება იმ გამონაკვეთებზე, რასაც ვაწყდებით საჯარო სამსახურში. გაანალიზებული იქნება როგორც არსებული კანონმდებლობა, ასევე სასამართლო პრაქტიკა, უცხოური ქვეყნების გამოცდილება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება პირადი განცხადებით მოხელის გათავისუფლების შემთხვევებზე, რასთან დაკავშირებითაც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს სრულიად სხვა წინაპირობები, რაც არ ადასტურებდეს მოხელის ნების ნამდვილობას. კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოხსენებაში შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მოხელის გათავისუფლება, საზოგადოებრივი ინტერესი, კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა.

Legal Grounds for Dismissal of a Civil Servant

Khatuna Loria

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

khatuna.loria@tsu.ge

The Law of Georgia on „Civil Servants” establishes the grounds and procedure for dismissal of a civil servant from service. The grounds for dismissal of a professional civil servant are divided into mandatory (Article 107) and optional (Article 108) grounds. The prerequisite for such differentiation is objective criteria, as well as the discretionary authority of the official with the authority to make a decision, which may be related to a number of objective circumstances (the civil servant’s health status, experience, status, interest of the civil service, etc.). Although the law provides for the possibility of making decisions on the basis of discretion, it must be said that the legitimate interest of the civil service should not be jeopardized. There are cases when the professionalism of an individual civil servant, his experience, institutional memory significantly represent a public legal interest in maintaining him in the service, we cannot equate such a case with a subjective interest and the approach in individual cases may be different. The decision to dismiss an official will be legal if both the criteria of formal and substantive legality are observed. It is worth noting the need to observe procedural order, which also affects the legality of the decision made. The paper will focus on the challenges we face in the civil service. Both the existing legislation and judicial practice will be analyzed, as well as the experience of foreign countries. Special emphasis will be placed on cases of dismissal of an official upon personal application, in connection with which in individual cases there may be completely different prerequisites, which do not confirm the validity of the official's will. The paper will propose recommendations for further improvement of the legislation.

Keywords: Dismissal of a Civil Servant, Public Interest, Legislation, Case Law.

საკონსტიტუციო იდენტობების აღმოჩენა საქართველოში, ევროკავშირსა და მსოფლიოში

გიორგი ალავერდაშვილი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgialaverdashvili@ymail.com

საკონსტიტუციო იდენტობა ერთი შეხედვით ხელშესახები ცნება არაა. მას სხვადასხვა პროფესორი განსხვავებულად განმარტავს. მოხსენებაში საუბარი იქნება ქართველი და უცხოელი პროფესორების მოსაზრებებზე, რომელთაგან ზოგიერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მოხსენება შეეხება იმ მექანიზმებს, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ საკონსტიტუციო იდენტობების აღმოსაჩენად სხვადასხვა იურისდიქციაში. მომხსენებელი წარმოადგენს 4 განსხვავებულ მოდელს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში საკონსტიტუციო იდენტობის აღმოჩენა. პირველი მოდელის მიხედვით, საკონსტიტუციო იდენტობებს ვხვდებით კონსტიტუციის ტექსტის მიღმა, კერძოდ დამოუკიდებლობის დეკლარაციებში, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში. მეორე მოდელი გულისხმობს საკონსტიტუციო იდენტობის აღმოჩენას კონსტიტუციის შესავალ ნაწილში - პრეამბულაში, მაგალითად, თურქეთში. მესამე მოდელით საკონსტიტუციო იდენტობის ამოკითხვა უშუალოდ კონსტიტუციის ტექსტში შეიძლება. ამ შემთხვევაში ორი ქვეტიპის გამოყოფა შეიძლება. ერთ შემთხვევაში, კონსტიტუციის ჩვეულებრივმა ნორმამ შეიძლება იტვირთოს იდენტობის ფუნქცია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ამას მუდმივი ნორმა აკეთებს. თითოეულ შემთხვევაზე მოყვანილია შესაბამისი სახელმწიფოს მაგალითი. მოხსენებისას კრიტიკულად იქნება წარმოჩენილი უცვლელი ნორმების მიერ საკონსტიტუციო იდენტობის გამოხატვა. კერძოდ, შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენით მომხსენებელი იმსჯელებს, რომ ყველა შემთხვევაში დაცული ნორმა ვერ იქნება იდენტობის გამომხატველი. ამიტომ, გამოსვლისას შემოთავაზებული იქნება ერთგვარი ფორმულა, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც ნათელი გახდება, თუ კონკრეტულად როდის შეიძლება იტვირთოს უცვლელმა ნორმამ საკონსტიტუციო იდენტობის ფუნქცია. ამ ფორმულის პრაქტიკული დანიშნულების ილუსტრირებისთვის სტატიაში განხილულია შესაბამისი მაგალითები. საკონსტიტუციო იდენტობის აღმოჩენის მეოთხე მოდელი გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილებების გზით იდენტობის ამოკითხვას. ზემოთ აღნიშნული მოდელების განხილვის შემდგომ მოხსენება ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის საკონსტიტუციო იდენტობაზე და იქნება მსჯელობა, თუ რამდენად აქვს მას საკუთარი იდენტობა. და ბოლოს, მოხსენებაში საუბარი იქნება ევროკავშირის დამფუძნებელ დოკუმენტის ჩანაწერზე საკონსტიტუციო იდენტობის თაობაზე, ასევე უნგრეთის მაგალითზე გამოჩნდება, თუ როგორ დაამახინჯეს ეს ჩანაწერი და რა ზომები მიიღო ევროკავშირმა ამასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური იდენტობა, კონსტიტუცია, სასამართლო, პრეამბულა, ევროკავშირი, უნგრეთი.

Discovering Constitutional Identities in Georgia, in the EU and in the World

Giorgi Alaverdashvili

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

giorgialaverdashvili@ymail.com

Constitutional identity is not an immediately tangible concept. Various professors interpret it differently. The presentation will discuss the views of both Georgian and foreign scholars, some of which contradict each other. The presentation will also address the mechanisms that can be used to identify constitutional identities in different jurisdictions. The speaker will present four different models that can be applied to discover constitutional identity in any democratic state. According to the first model, constitutional identities can be found beyond the text of the constitution, specifically in declarations of independence. The United States will be discussed as an example of this model. The second model involves identifying constitutional identity in the preamble of the constitution. Turkey is used as the example here. The third model suggests that constitutional identity can be read directly from the constitutional text. In this case, two subtypes can be distinguished. In one, an ordinary constitutional norm may take on the function of expressing identity, while in the other, this role is fulfilled by an immutable (unchangeable) norm. Each case will be illustrated with examples from relevant countries. The presentation will critically examine the idea of expressing constitutional identity through immutable norms. Specifically, through presenting relevant arguments, the speaker will argue that not every protected (unchangeable) norm necessarily reflects identity. Therefore, a formula will be proposed during the presentation, which, when applied, will clarify when exactly an immutable norm can serve the function of expressing constitutional identity. Examples will be discussed in the article to illustrate the practical application of this formula. The fourth model for discovering constitutional identity involves identifying it through judicial decisions. After discussing the mentioned models, the presentation will focus on the constitutional identity of the Georgian Constitution, exploring whether it possesses its own distinct identity. Finally, the presentation will touch on the founding document of the European Union and its references to constitutional identity. Additionally, using Hungary as an example, it will be shown how this reference has been distorted and what measures the EU has taken in response.

Keywords: Constitutional Identity, Constitution, Court, Preamble, EU; Hungary.

სამართლიანობისა და სამართლის (კანონის), როგორც სამართლებრივი ღირებულებების ურთიერთმიმართების საკითხისთვის

მურმან გორგოშაძე

პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

„სამართლიანობა“ და „სამართალი (კანონი)“ თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს სამართლებრივ ღირებულებებად განიხილება. მათი ურთიერთმიმართების კვლევა იურისპრუდენციის ერთ-ერთი აქტუალური საკითხთაგანია, რადგან სამართალშემოქმედებითი, სამართალშეფარდებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობა, უპირველესად, ეფუძნება მათ ღირებულებით შეფასებებს, რომლებიც მიზანთა და საშუალებათა ურთიერთობის სახით გარკვეულ რანგობრივ წესრიგს ავლენენ – ღირებულებათა ერთი ნაწილი გამოიყენება როგორც საშუალება სხვა უფრო მაღალი ღირებულებების მისაღწევად. ღირებულებათა მოძრაობა, მათი წინ წამოწევა ან უკან დაწევა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენაა და მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებათა შეფასების ერთი მნიშვნელოვანი სქემა არ არსებობს, „ღირებულებითი ცდომილების“ თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ამპრობლემებზე ორიენტირებული აკადემიური კვლევები. მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს სამართლიანობის, როგორც სამართლებრივი სივრცის წარმმართველი ღირებულების მიმართება სამართლის (კანონის) ღირებულებასთან, აჩვენოს რომ სამართალი (კანონი) ეფუძნება სამართლიანობის იდეას და სამართლიანობა სამართლის (კანონის) შინაგანი თვისებაა, მისი იდეაა. სამართალი (კანონი) ნორმატიულად გამაგრებული სამართლიანობაა. მიზნისა და საშუალების კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ სამართლიანობა არის უპირატესად მიზანი, სამართალი (კანონი) კი არის საშუალება სამართლიანობის მისაღწევად. სამართლიანობა თვითმიზნური აბსოლუტური სამართლებრივი ღირებულებაა, რადგან იგი გამოხატავს განვითარების განსაზღვრულ ტენდენციებს. სამართლით (კანონით), სახელმწიფოს სამართლიანობა აჰყავს ოფიციალურ, ასე ვთქვათ, სახელმწიფოს მიერ დაცულ სიკეთეთა რანგში და მას ანიჭებს იურიდიულ მნიშვნელობას, რითაც სამართლიანობა მარეგულირებელ ფუნქციას იძენს. სამართალში (კანონში) სამართლიანობის განხორციელებით სამართლიანობა ღებულობს ნორმატიულ ხასიათს, ხოლო სამართალი – ზნეობრივ დასაბუთებულობას. სამართალი (კანონი) გამოხატავს (ასახავს) სამართლიანობას. სამართლის (კანონის) მიერ სამართლიანობის გამოხატვა (ასახვა) შეიძლება იყოს სრული, ნაწილობრივი, დამახინჯებული. შესაბამისად, სამართალიც (კანონიც) შეიძლება იყოს სამართლიანი და არასამართლიანი.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანობა, სამართალი, სამართალშემოქმედება, სამართალშეფარდება, ღირებულებები, ზნეობა.

Relationship Between Justice and Law as Legal Values

Murman Gorgoshadze

Professor, Batumi Shota Rustaveli State University

murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

“Justice” and “law” are considered the main legal values of a modern democratic society. The study of their relationship is one of the topical issues of jurisprudence, since law-making, law-enforcing and law implementation activities are primarily based on their value assessments, which reveal a certain hierarchical order in the form of a relationship between goals and means - one part of the values is used to achieve other, higher values. The movement of values, their advancement or regression is a common phenomenon of public life, and although there is no single scheme for assessing values, academic research focused on these problems is important to prevent “value errors”. The purpose of our report is to demonstrate the relationship between justice, as the guiding value of the legal space, and the value of law (law). To show that law (law) is based on the idea of justice and that justice is an internal property of law (law), its idea. Law (law) is normatively reinforced justice. Judging by the categories of goal and means, justice is primarily a goal, while law (law) is a means to achieve justice. Justice is an end, an absolute legal value, because it expresses certain trends in development. Through law, the state elevates justice to the rank of official, so to speak, state-protected good and gives it legal significance, thereby acquiring a regulatory function. Through the implementation of justice in law, justice acquires a normative character, and justice acquires moral justification, law expresses (reflects) justice. The expression (reflection) of justice by law can be complete, partial, or distorted. Accordingly, law can be just and unjust.

Keywords: Justice, Law, Law Making, Law Enforcing, Values, Morality.

**დავინყების უფლება, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის
გარანტია და მისი რეალიზება სამართალდაცვით საქმიანობაში****ლანა ცანავა**

უფროსი მეცნიერ-მკვლევარი
ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი
l.tsanava@mia.gov.ge

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა. უფლება პირად ცხოვრებაზე, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, მეორე მხრივ, კი დაცული იყოს როგორც სახელმწიფოს, ისევე ნებისმიერი სხვა პირების მხრიდან მის კერძო სფეროში ჩარევისგან. პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დავინყების უფლება, რაც გულისხმობს პიროვნების უფლებას მის შესახებ ერთხელ შეგროვებული მონაცემების მონაცემთა ბაზებიდან წაშლის შესაძლებლობას. სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმური მიზნით შეგროვებული მონაცემები იმ ვადით უნდა იყოს შენახული, რა ვადითაც მონაცემების შენახვის საჭიროება და აუცილებლობა არსებობს. მონაცემთა შეგროვება და შენახვა განსაკუთრებით სენსიტიური საკითხია სამართალდაცვით საქმიანობაში. მართლწესრიგის დაცვა თანამედროვე ეპოქაშიც, მოითხოვს ყოველი შესაძლო საფრთხის გარშემო ინფორმაციის ფლობას. დავინყების უფლება განსაკუთრებით მწვავედ დგას, როდესაც საკითხი ეხება სისხლის სამართლის სფეროში შეგროვებულ ინფორმაციას, როგორცაა, ნასამართლობის შესახებ მონაცემები, დნმ-ის კოდის შესახებ მონაცემები, უჯრედოვანი ნიმუშები, თითის ანაბეჭდები. მუდამ საკამათო საკითხია, რა ვადით შეუძლია აღნიშნული ინფორმაციის შენახვა სახელმწიფოს? საერთაშორისო პრაქტიკის, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონაცემთა ბუნებას, ასევე თავად დანაშაულის ხასიათს, ინდივიდის განმომდინარე საფრთხეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა შენახვის ლეგიტიმური ვადები. სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებს შეეხება წარმოდგენილი მოხსენება.

საკვანძო სიტყვები: დავინყების უფლება, პირადი ცხოვრება, უფლების დაცვა, სასამართლო, მონაცემთა დაცვა.

The Right to be Forgotten as a Guarantee of the Protection of the Right to Privacy and its Implementation in Law Enforcement

Lana Tsanova

Senior Researcher, European University Institute of Law

l.tsanova@mia.gov.ge

The right to privacy is one of the most important fundamental rights. The right to privacy, on the one hand, means the ability of an individual to independently develop his or her private life, personally, according to his or her own judgment, and on the other hand, to be protected from interference in his or her private sphere by the state or any other persons. An integral part of the constitutional right to privacy is the right to be forgotten, which means the right of an individual to have data about him or her deleted from databases once collected. Data collected by the state for a legitimate purpose should be stored for the period for which there is a need and necessity for the data to be stored. Data collection and storage is a particularly sensitive issue in law enforcement activities. Maintaining law and order in the modern era also requires having information about every possible threat. The right to be forgotten is particularly acute when the issue concerns information collected in the field of criminal law, such as data on convictions, data on DNA codes, cell samples, fingerprints. It is always a controversial issue how long the state can store the mentioned information? Considering international practice and the decisions of the European Court, the nature of the data, as well as the nature of the crime itself and the threat posed by the individual, are of particular importance in this regard. By taking all the above into account, it is possible to determine the legitimate terms of data storage. It is precisely the above-mentioned issues that the issue presented at the conference concerns.

Keywords: Right to be Forgotten, Privacy, Protection of Rights, Court, Data Protection.

საპარლამენტო კონტროლის გავლენა საქართველოს კონსტიტუციის სტაბილურობაზე

ეკა კაველიძე

აფილირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი

kavelidze.eka@eu.edu.ge

კონსტიტუციის სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია პარლამენტის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს გამართულ ფუნქციონირებასთან. აღნიშნული კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხელისუფლების ორი შტოს - აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების ურთიერთმიმართებისას. რაც უფრო ეფექტურია საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მით უფრო ძლიერია პარლამენტი, რაც თავის მხრივ კონსტიტუციის სტაბილურობას განსაზღვრავს. მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენები ცხადყოფს, რომ საპარლამენტო კონტროლი არ არის ძალიან ნაყოფიერი, რაც იწვევს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს - მთავრობის უჩვეულო დომინანტობას. აღნიშნული დისბალანსი თავის მხრივ იწვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რღვევას. საპარლამენტო კონტროლის კონსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის დარღვეული ბალანსის აღდგენას და ამ პროცესების ცენტრი იქნება საქართველოს პარლამენტი, როგორც კონსტიტუციის შემოქმედი ორგანო. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, როგორებიცაა ინტერპელაცია, უნდობლობის ვოტუმი, მთავრობის ან/და ცალკეული მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობა ნაწილობრივად დამკვიდრებული ქართულ სამართლებრივ სივრცეში. არსებული მექანიზმების გამოუყენებლობა ძალიან აკნინებს პარლამენტის, როგორც ხელისუფლების ბალანსის მთავარი ორგანოს როლს. მოხსენების მთავარი მიზანია საპარლამენტო კონტროლის კონსტიტუციით გათვალისწინებული მექანიზმების და მათი კონსტიტუციის სტაბილურობაზე გავლენის გამოკვეთა. ასევე, წარმოდგენილი იქნება საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების ავტორისეული ხედვებიც.

საკვანძო სიტყვები: საპარლამენტო კონტროლი, კონსტიტუციის სტაბილურობა, ინტერპელაცია, უნდობლობის ვოტუმი, კანონმდებლობა.

The Impact of Parliamentary Control on the Stability of the Constitution of Georgia

Eka Kavelidze

Affiliate Professor, European University

kavelidze.eka@eu.edu.ge

The stability of the constitution is directly related to the proper functioning of the parliament as a constitutional body. This connection is especially evident in the relationship between the two branches of government - the executive and legislative branches. The more effective the parliamentary control over the executive branch, the stronger the parliament, which in turn determines the stability of the constitution. Current political and legal events demonstrate that parliamentary control is not very productive, which leads to the unusual dominance of the body accountable to it - the government. This imbalance leads to a violation of the principle of separation of powers. Strengthening the constitutional mechanisms of parliamentary control will ensure the restoration of the disturbed balance between the branches of government, and the center of these processes will be the Parliament of Georgia, as the constitution-making body. Parliamentary control mechanisms, such as interpellation, vote of no confidence, political responsibility of the government and/or individual ministers, are partially established in the Georgian legal framework. Failure to use the existing mechanisms greatly undermines the role of the Parliament as a body that maintains the balance of power. The main goal of the paper is to identify the mechanisms of parliamentary control provided for by the Constitution and their impact on the stability of the Constitution. The author's views on strengthening parliamentary control will also be presented.

Keywords: Parliamentary Control, Constitutional Stability, Interpellation, Vote of No Confidence, Legislation.

საქართველოს პროგრესი დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ევროინტეგრაციის პროცესში

მალხაზ ნაკაშიძე

პროფესორი, ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nakashidze.bsu@gmail.com

2023 წლის 14-15 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ გახსნა განვერიანების მოლაპარაკებები უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი. 2024 წელს ევროკავშირმა დაიწყო განვერიანების მოლაპარაკებები უკრაინასა და მოლდოვასთან, მაგრამ არა საქართველოსთან, რადგან ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა. ამ ვალდებულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია განვერიანების პოლიტიკური კრიტერიუმები, უფრო კონკრეტულად კი მოლაპარაკების თავების პირველი კლასტერი - განვერიანების საფუძვლების შესრულება, რაც უკავშირდება დემოკრაციას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საჯარო მმართველობას და სასამართლოს დამოუკიდებლობას. მართალია საქართველოს აქვს პროგრესი სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა პირველ რიგში ქვეყნის წინაშე მთავარ გამოწვევად რჩება განვერიანების პროცესის პირველი კლასტერის პირობების შესრულება. საქართველოს კანდიდატის სტატუსი გარკვეული პირობებით მიენიჭა, რაც განვერიანების საფუძვლების იმპლემენტაციას გულისხმობს. ეს ვალდებულებების საქართველოს დღემდე სრულად არ შეუსრულებია. უფრო მეტიც, 2024 წელს საქართველომ მიიღო კანონი “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ”, რომელიც ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. მოხსენებაში განხილულია საქართველოს პროგრესი განვერიანების საფუძვლების მიმართულებით არებული ვალდებულებების შესრულების და სამართლებრივ-პოლიტიკური რეფორმების განხორციელების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, განვერიანება, კანონი, სასამართლო, დემოკრატია.

Georgia's Progress in the Field of Democracy, Rule of Law and Human Rights in the European Integration Process

Malkhaz Nakashidze

Professor, Jean Monnet Chair, Batumi Shota Rustaveli State University
nakashidze.bsu@gmail.com

On 14-15 December 2023, the European Council opened accession negotiations with Ukraine and Moldova and granted Georgia candidate status. In 2024, the European Union started accession negotiations with Ukraine and Moldova, but not with Georgia, as the European Commission assessed that Georgia had not fulfilled its obligations to the EU. Among these obligations, one of the most important is the political criteria for accession, and more specifically the first cluster of negotiating chapters - the fulfillment of the fundamentals, which are related to democracy, the rule of law, human rights, public governance and the independence of the judiciary. Although Georgia has made progress in various areas, the main challenge facing the country remains to fulfill the conditions of the first cluster of the accession process. Georgia was granted candidate status with certain conditions, which implies the implementation of the accession criteria. Georgia has not fully fulfilled these obligations to date. Moreover, in 2024, Georgia adopted the Law on Transparency of Foreign Influence, which became one of the main reasons for the suspension of the country's European integration process. This paper discusses Georgia's progress in fulfilling the outstanding obligations under the accession criteria and in implementing legal and political reforms.

Keywords: European Union, Accession, Law, Court, Democracy.

**ევროკავშირის არმია როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის
ალტერნატიული მექანიზმი ევროპაში**

იოსებ შოთაძე

ასისტენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
iosebshotadze@gmail.com

რუსეთის აგრესიამ უკრაინაში ნათლად წარმოაჩინა ახალი გამოწვევები ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომლებიც სარკისებურად აისახება იმ სახელმწიფოთა უსაფრთხოებაზე, რომლებსაც გაცხადებული აქვთ ევროპულ კავშირში ინტეგრაცია. რუსეთის ექსპანსიამ უკრაინის წინააღმდეგ და აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოზიციამ, კერძოდ მისმა დისტანცირების სურვილმა ევროპის რეგიონალური კონფლიქტების მიმართ, მისცა ბიძგი დაწყებულიყო პროცესი ევროკავშირის გამოყვანა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ინსტიტუციური ჩრდილიდან. ახალმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ დღის წესრიგში ისევ დააყენა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვის, შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ მზადყოფნისა და სამხედრო შესაძლებლობების გაზრდის აუცილებლობის საკითხი. უკრაინის კრიზისის ფონზე კვლავ აქტუალური გახდა ევროპული კავშირის საერთო თავდაცვის სისტემის განვითარების იდეა, რომელიც ითვალისწინებს ერთიანი სარდლობის ქვეშ ევროკავშირის ერთიანი არმიის შექმნას. აღნიშნული იდეა ისეთივე არახალია, როგორც თავად ევროპული გაერთიანება, რომელიც საჭიროებს კავშირის არამართო ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ რეფორმირებას, არამედ წევრი ქვეყნების მზაობასა და პოლიტიკურ ნებას. აღსანიშნავია, რომ საერთო თავდაცვის მიმართულებით ცალკეულმა სახელმწიფოებმა უკვე მოახერხეს და გააერთიანეს თავიანთი სამხედრო შესაძლებლობები, სახელდობრ როგორიცაა ბალტიისპირეთის ქვეყნების ერთობლივი კონტრზომების განყოფილება ესტონეთში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ევროპული მომავლისათვის არ არის უმნიშვნელო, თუ რა როლი ექნება მას ევროპული თანამაგებრობის ახალ უსაფრთხოების კონფიგურაციაში, რადგან ჩვენი ქვეყანა ინსტიტუციურად დაკავშირებულია ევროკავშირთან, რომლის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში შედის კავკასიის რეგიონში სტაბილური გარემოს შენარჩუნება.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, თავდაცვა, უსაფრთხოება, ერთიანი არმია.

The EU Army as an Alternative Mechanism for Security and Defense in Europe

Ioseb Shotadze

Assistant, Batumi Shota Rustaveli State University

iosebshotadze@gmail.com

Russia's aggression in Ukraine has clearly demonstrated new challenges to the security of the European Union, which are reflected in the security of those states that have declared their integration into the European Union. Russia's expansion against Ukraine and the position of the new US administration, in particular its desire to distance itself from regional conflicts in Europe, have given impetus to the process of withdrawing the European Union from the institutional shadow of the North Atlantic Alliance. The new geopolitical situation has once again put on the agenda the issue of reviewing European security policy, the need to be prepared against possible aggression and to increase military capabilities. Against the background of the Ukrainian crisis, the idea of developing a common defense system of the European Union has again become relevant, which envisages the creation of a single European Union army under a single command. The mentioned idea is as new as the European Union itself, which requires not only organizational and institutional reform of the Union, but also the readiness and political will of the member states. It is noteworthy that in the direction of common defense, individual states have already managed to unite their military capabilities, in particular, such as the Baltic-Eastern joint countermeasures unit in Estonia. Based on all of the above, it is not insignificant for the European future of Georgia what role it will have in the new security configuration of the European commonwealth, because our country is institutionally connected to the European Union, whose economic and political interests include maintaining a stable environment in the Caucasus region.

Keywords: European Union, European Union Army, Security, Defense.

**ღია მმართველობა პარტნიორობის (OGP) და ასოცირების შესახებ
შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების
შესრულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში**

ნიკოლოზ მეგრელიშვილი

დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტი, მინვეული ლექტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nmegrelishvili@yahoo.com

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) წარმოადგენს მრავალმხრივ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს მთავრობების მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების შესრულება ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეების ჩართულობის და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. საქართველო 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა OGP-ს. 2016 წლის 1 ივლისიდან ძალაში სრულად შევიდა საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან. საქართველოს მთავრობამ ვალდებულებად აიღო სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა, ისევე როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, სახელმწიფო სერვისებისა და საჯარო სექტორში ანტიკორუფციული სისტემის გაუმჯობესება. საქართველოს ცენტრალურ ორგანოებთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებიც შეუერთდნენ OGP-ს ღიაობის კომპონენტებისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების კარგი მმართველობის პრინციპების შესრულების პროცესს. მაგალითისთვის აჭარის ა.რ. უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა ღია მმართველობის პრინციპების სისტემური გაზიარება და 2020 წლის 30 აპრილის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა რეგლამენტში შესატანი ცვლილება, რომლის თანახმად უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო - ღია მმართველობის საბჭო. აღნიშნული საბჭო ხელს უწყობს უმაღლეს საბჭოში ღია და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას. 2024 წლის გაზაფხულზე, საქართველოს კანონის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიღების დროს, OGP-მა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, უკან გაეწვია ინიცირებული კანონპროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გააფრთხილა, რომ შესაძლებელი იყო, ქვეყანას OGP-ის წევრობა შეჩერდებოდა. 2024 წლის 16 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ცნობა ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის შეჩერების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP), ასოცირების შესახებ შეთანხმება, კანონმდებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

Implementation of the Open Government Partnership (OGP) and the Association Agreement in the Autonomous Republic of Adjara

Nikoloz Megrelishvili

PhD student, University of Georgia, Visiting Lecturer,
Batumi Shota Rustaveli State University
nmegrelishvili@yahoo.com

The Open Government Partnership (OGP) is a multilateral initiative that aims to ensure that governments fulfill specific commitments in terms of open government, transparency, citizen engagement, and the fight against corruption. Georgia joined the OGP in September 2011. On July 1, 2016, Georgia's Association Agreement with the European Union entered into full force. The Georgian government has committed to increasing the transparency and accountability of state institutions, as well as strengthening citizen participation, improving the anti-corruption system in public services and the public sector. Along with the central authorities of Georgia, the authorities of the Autonomous Republic of Adjara have also joined the OGP in implementing the openness components and good governance principles of the Association Agreement. For example, the A.R. The Supreme Council decided to systematically share the principles of open governance and, at its extraordinary plenary session on April 30, 2020, approved an amendment to the regulations, according to which a permanent body was established in the Supreme Council - the Open Governance Council. This council promotes the implementation of the principles of open and good governance in the Supreme Council. In the spring of 2024, when the Law of Georgia "On Transparency of Foreign Influence" was adopted, the OGP called on the Georgian government to withdraw the initiated draft law, warning that otherwise the country's membership in the OGP could be suspended. On October 16, 2024, the Georgian government received a notification of the suspension of its membership in the Open Governance Partnership.

Keywords: Open Governance Partnership (OGP), Association Agreement, Legislation, Autonomous Republic of Adjara.

**ევროპული სასამართლოს პროგრესული სამოსამართლო აქტივიზმი
გამოხატვის თავისუფლების სფეროში და მისი გავლენა ბოლო
პერიოდის ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე**

თამარ ავალიანი

ასოცირებული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
tamar.avaliani888@gmail.com

მოხსენებაში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი ადამიანის უფლებების დაცვისა და კონვენციით გათვალისწინებული უფლებათა კატალოგის დინამიური და ევოლუციური განმარტების შესახებ. ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებების განმარტებისას ევროპული კონვენციის, როგორც „ცოცხალი ინსტრუმენტის“ დოქტრინით“ ხელმძღვანელობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Tyrer v. the United Kingdom* განმარტა, რომ კონვენციური უფლებები თანამედროვე სამართლებრივი, სოციალური, ეთიკური და სამეცნიერო მიღწევების კვალდაკვალ უნდა ინტერპრეტირდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო აქტივიზმის დოქტრინა და კონვენციის დინამიური განმარტების მნიშვნელობა კონვენციის პრეამბულით არის გამყარებული, რომელიც აქცენტს ადამიანის უფლებებით პრაქტიკაში ეფექტიან სარგებლობაზე აკეთებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო აქტივიზმი განსაკუთრებით ხილულია კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) ინტერპრეტაციისას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-10 მუხლის განმარტებისას ევოლუციური ინტერპრეტაციის მეთოდს იყენებს, რომელიც კონვენციის საგნიდან და მიზნიდან გამომდინარეობს. კვლევაში განხილულ იქნება კონვენციის მე-10 მუხლის სტანდარტის ასახვის საკითხი საქართველოს საერთო სასამართლოების გადანაცვლებებში და მათი გავლენა ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებაზე ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. მოხსენებაში ასევე, გაანალიზდება სახელმწიფოს „მიხედულების ფარგლების დოქტრინა“, როგორც სამოსამართლო აქტივიზმის შემაკავებელი ფაქტორი კონვენციის მე-10 მუხლის ინტერპრეტაციისას. კვლევაში წარმოადგენილ იქნება სახელმწიფოს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას და ის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს მიხედულებას განეკუთვნება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის დადგენა.

საკვანძო სიტყვები: გამოხატვა, სასამართლო, უფლება, განმარტება, დოქტრინა, გადანაცვლებები.

The Progressive Judicial Activism of the European Court of Human Rights in the Field of Freedom of Expression and Its Influence on Recent Georgian Judicial Practice

Tamar Avaliani

Associate Professor, Black Sea International University

tamar.avaliani888@gmail.com

This paper explores the role of the European Court of Human Rights (ECtHR) in the protection of human rights and in the dynamic and evolutionary interpretation of the catalogue of rights enshrined in the European Convention on Human Rights. In interpreting human rights, the ECtHR adheres to the doctrine of the Convention as a "living instrument." In the landmark case *Tyrer v. the United Kingdom*, the Court emphasized that the rights protected by the Convention must be interpreted considering present-day legal, social, ethical, and scientific developments. The doctrine of judicial activism and the dynamic interpretation of the Convention are anchored in its Preamble, which underscores the practical and effective enjoyment of human rights. Judicial activism by the ECtHR is particularly evident in the interpretation of Article 10 of the Convention, which guarantees freedom of expression. In interpreting this article, the Court applies the method of evolutionary interpretation, guided by the object and purpose of the Convention. The paper examines how the standards established by Article 10 of the Convention are reflected in the decisions of the common courts of Georgia and assesses their impact on the overall quality of human rights protection within the Georgian judicial system. It analyzes case law in which domestic courts relied on the ECtHR's dynamic interpretation of Article 10 and demonstrated a rights-sensitive approach. Furthermore, the paper discusses the doctrine of the "margin of appreciation" as a limiting factor on judicial activism in the interpretation of Article 10. The study highlights the broad discretion afforded to states in restricting freedom of expression and identifies the circumstances under which the necessity of interference falls within the state's margin of appreciation.

Keywords: Expression, Court, Right, Interpretation, Doctrine, Judgment.

შიდა უწყებრივი დოკუმენტი, როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი საქართველოში

თამარ გვარამაძე

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tgvaramadze@gmail.com

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დაცული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, რაზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც ხაზგასმით მიუთითებს. მისი განმარტებით, ინფორმაციაზე წვდომის გარეშე, წარმოდგენილია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიის უზრუნველყოფა. პრაქტიკაში უფლების რეალიზაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების კეთილსინდისიერად შესრულებაზეა დამოკიდებული, თუმცა სამწუხაროდ, წლიდან წლამდე საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშში სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ გამოვლენილი ხარვეზები ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო რეფორმის დროული გატარებისა და შესაბამისი საზედამხებლო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე მეტყველებს. პრობლემას განსაკუთრებით ამწვავებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებასა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მექანიზმებს შორის არსებული დისბალანსი. ცხადია სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა, ხელს უწყობს საჯარო დანესებულების ანგარიშვალდებულების ამაღლებას და საქმიანობის ქმედითობას, რაც ევროინტეგრაციის მიზნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, გარდა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისა, პრობლემა გამოიკვეთა ასევე შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციის ცნების ფართოდ განმარტებასთან. საკანონმდებლო რეგულაცია იცნობს შიდა უწყებრივი დოკუმენტაციის ცნებას, რომელიც შეიძლება დაიხუროს დაინტერესებული პირებისათვის, თუმცა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ასეთი დოკუმენტის ცნება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს ხშირად ძალიან ფართო და დაუსაბუთებელი განმარტებების გაკეთების შესაძლებლობას აძლევს. ფართო დისკრეციის და ნორმის განმარტების არაგანჭვრეტადი პრაქტიკის ფონზე, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მნიშვნელოვნად აზიანებს ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის სტანდარტს ქვეყანაში. კონფერენციაზე მოხსენება აღნიშნული თემის განხილვას დაეთმობა.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, შიდა უწყებრივი დოკუმენტი, საჯარო ინფორმაცია, ხელმისაწვდომობა, კანონმდებლობა.

Internal Departmental Document as a Basis for Restricting Access to Public Information in Georgia

Tamar Gvaramadze

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tgvaramadze@gmail.com

The right to access public information is one of the most important values protected by the Constitution of Georgia, which is also emphasized by the Constitutional Court of Georgia. According to its explanation, without access to information, it is impossible to ensure freedom of opinion and the vital discussion characteristic of a free society. In practice, the realization of the right depends on the conscientious implementation of the norms of the General Administrative Code, however, unfortunately, from year to year in the report on the state of human rights and freedoms in Georgia, the Public Defender indicates that the identified shortcomings indicate the need for timely implementation of legislative reform regulating freedom of information and the creation of an appropriate supervisory institution. The problem is particularly exacerbated by the imbalance between the right to access public information and the mechanisms for protecting the right to privacy. Obviously, access to official state documents contributes to increasing the accountability and efficiency of public institutions, which is vital for the goals of European integration. However, in addition to refusing to provide public information on the grounds of personal data protection, a problem was also identified with the broad definition of the concept of internal departmental documentation. The legislative regulation recognizes the concept of internal departmental documentation, which can be closed to interested parties, although the legislation does not define the concept of such a document, which often allows administrative bodies to make very broad and unfounded interpretations. Against the background of wide discretion and unpredictable practice of interpreting the norm, limiting access to information significantly undermines the standards of accountability and transparency in the country. The report at the conference will be devoted to discussing this topic.

Keywords: Human Rights, Internal Departmental Document, Public Information, Accessibility, Legislation.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის როლი ბაზრის დერეგულაციაში ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტში

მაკა ფარცვანია

ასისტენტი, დოქტორანტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
m.partsvania@sabauni.edu.ge

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ლიბერალიზაციისკენ. ბირჟის ფუნქციონირება ქმნის კონკურენტულ გარემოს, სადაც ენერგეტიკული რესურსები თავისუფლად განაწილდება, რაც განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ეს პროცესი, რომელიც გულისხმობს ბაზრის დერეგულაციას, შემდგომი განვითარების პერსპექტივებს აჩენს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ინვესტორებისთვის. საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისა და განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს. ეს ვალდებულებები მოიცავს ელექტროენერგიისა და გაზის ბაზრების გამჭვირვალობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას, რაც შესაბამისობაშია ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრინციპებთან. საქართველოს მთავრობამ ენერგეტიკული პოლიტიკის განახლება და ევროკავშირის დირექტივების შესრულება პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ საკითხების გარშემო მოხსენებაში განვიხილავთ ბირჟის როლს ბაზრის დერეგულაციაში, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ენერგეტიკული სექტორის განვითარების გამოწვევებს და პერსპექტივებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და მდგრადობის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკული ბირჟა, ბაზრის დერეგულაცია, ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება, კანონმდებლობა.

The Role of the Georgian Energy Exchange in Market Deregulation In the Context of the EU Association Agreement.

Maka Partsvania

Assistant, PhD Student, Sulkhan-Saba Orbeliani University

m.partsvania@sabauni.edu.ge

The launch of the Georgian Energy Exchange is an important step towards the liberalization of the country's energy sector. The functioning of the exchange creates a competitive environment where energy resources will be freely distributed, which will facilitate the integration of renewable energy sources. This process, which implies market deregulation, opens further development prospects for both local and international investors. Georgia's commitments under the EU Association Agreement envisage the liberalization of the energy market and the promotion of the development of renewable energy. These commitments include ensuring transparency and competitiveness of electricity and gas markets, which is in line with the EU's energy security principles. The Georgian government has declared the renewal of energy policy and the implementation of EU directives as a priority. In this report, we will discuss the role of the exchange in market deregulation, the challenges and prospects for the development of the energy sector in the process of integration with the EU, which will contribute to strengthening the country's energy independence and sustainability.

Keywords: Energy Exchange, Market Deregulation, European Union, Association Agreement, Legislation.

სასამსახურო ხელშეკრულება, როგორც ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გამოწვევა

ანა ტაკაშვილი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

a.takashvili24@sabauni.edu.ge

სამეწარმეო საზოგადოებათა მართვის ყველაზე მობილური და გავრცელებული სახეა კონკრეტული ხელმძღვანელი პირის ან ორგანოს განსაზღვრა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბიზნეს საქმიანობის წარმართვაზე და ასევე კომპანიის განვითარებაზე. ქართულ საკანონმდებლო სივრცეში 2021 წლამდე კონკრეტულად არ იყო განსაზღვრული რა ტიპის შეთანხმებით უნდა დარეგულირებულიყო მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა. რეალურად სახეზე გვქონდა ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება, რომელიც მაინც იდენტიფიცირდებოდა, როგორც შრომითი, რასთან დაკავშირებითაც პრაქტიკაში ისედაც გამოთქმული იყო განსხვავებული პოზიციები. კანონის ახალი რედაქციის მიხედვით კი ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის გადანაცვლების მიღების შემდგომ ან პარალელურად, კორპორაციასა და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რომელზეც არვრცელდება შრომის სამართლის დებულებები. სასამსახურო ხელშეკრულების დადების ნებაყოფლობითობაზე კანონი არ უთითებს, შესაბამისად ივარაუდება, რომ ყველა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და სააქციო საზოგადოებას აქვს გასაფორმებელი ასეთი სასამსახურო ხელშეკრულება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის მიხედვით სასამსახურო ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების წესი, უფლება-მოვალეობები და სხვა ნებისმიერი საკითხი, რომელიც მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენს. აქვე ცალსახად არის განსაზღვრული, რომ იგი არ უტოლდება შრომით ხელშეკრულებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ნორმები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის შემუშავებას ბიძგი სწორედ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრმა ვალდებულებებმა მისცა. კანონთა ჰარმონიზაციის საკითხი ევროპული ინეგრაციის ნაწილში კვლავაც საგულისხმო გამოწვევად რჩება. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ თეორიული თანაკვეთით შედეგზე ორიენტირება საკმარისი არ არის. პრაქტიკული შედეგებითი ანალიზი უფრო დიდ როლს ითავსებს. სწორედ ამიტომ თემის ღრმა ანალიზს შეუძლია კონკრეტული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების შეთავაზება.

საკვანძო სიტყვები: სასამსახურო ხელშეკრულება, ასოცირების შეთანხმება, ევროპულ სამართალი, კანონმდებლობა, ჰარმონიზაცია.

Employment Contract as a Challenge for Harmonization with the Association Agreement and European Legislation

Ana Takashvili

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

a.takashvili24@sabauni.edu.ge

The most mobile and widespread form of management of entrepreneurial companies is the determination of a specific head or body, who will be responsible for conducting business activities and for the development of the company. Until 2021, the Georgian legislative space did not specifically determine what type of agreement should regulate the relationship between the parties. In reality, we had an obligation-legal contract, which was still identified as labor, regarding which different positions had already been expressed in practice. According to the new version of the law, after the decision to appoint a manager to a position is made, or in parallel, an employment contract is concluded between the corporation and the manager, to which the provisions of labor law do not apply. The law does not indicate the voluntariness of concluding an employment contract, therefore it is assumed that all limited liability companies and joint-stock companies have such an employment contract to conclude. According to the new version of the Law "On Entrepreneurs", the employment contract must specify the remuneration rules of the manager, rights and obligations and any other issues that are the subject of an agreement between the parties. It is clearly defined here that it is not equivalent to a labor contract and that the norms of the Civil Code apply to it. It is important to note that the development of the new version of the Law "On Entrepreneurs" was prompted by the obligations assumed under the Association Agreement. The issue of harmonization of laws remains a significant challenge in the field of European integration. It is noteworthy that focusing on results with only theoretical frameworks is not enough. Practical comparative analysis plays a greater role. That is why a deep analysis of the topic can suggest specific problems and ways to solve them.

Keywords: Employment Contract, Association Agreement, EU Law, Legislation, Harmonization.

ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროებითი ღონისძიების მექანიზმი

ნატი გელოვანი

დოქტორანტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

natigelo@yahoo.com

ელექტრონული ზედამხედველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების თავიდან აცილების პროცესში. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროებითი ღონისძიების მექანიზმი გამოიყენება მხოლოდ შემთხვევითი ორდერის გამოცემის შემთხვევაში, როდესაც მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება და არსებობს ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. პრაქტიკული თვალსაზრისით, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელთა წრეც განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, რისკების შეფასების ინსტრუმენტზე დაყრდნობით აფასებს ძალადობის განმეორების საფრთხის რეალურობას და კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის გზით, მსხვერპლის თანხმობის არსებობისას, იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების თაობაზე. აღნიშნული სამი პირობის ერთობლიობაში არსებობა არის აუცილებელი იმისთვის რომ მოხდეს ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების თაობაზე უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის შემთხვევაში, იგი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს, სასამართლო ამ მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას, თუ სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ელექტრონული ზედამხედველობა არ განხორციელდება. საქართველოში ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმმა მოქმედება 2020 წლის სექტემბრიდან დაიწყო დადღემდე მისი გამოყენება 110-ზე მეტ შემთხვევაში მოხდა. ბოლო ორი წლის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის 10 000-ზე მეტ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და 18 000-ზე მეტი შემთხვევითი ორდერი გამოიცა. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ რომ ძალიან დაბალია ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების მაჩვენებელი, ამასთან, მისი გამოყენება უმეტესად ხდება მხოლოდ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ზედამხედველობა, ძალადობის ფაქტი, შემთხვევითი ორდერი, ოჯახში ძალადობა.

Electronic Surveillance as a Temporary Measure Mechanism for Responding to the Fact of Violence

Nati Gelovani

Eastern European University PhD student

natigelo@yahoo.com

Electronic surveillance plays an important role in the process of preventing the recurrence of violence against women and/or domestic violence. Electronic surveillance, as a temporary measure mechanism for responding to the fact of violence, is used only in the case of issuing a restraining order, when the perpetrator is prohibited from approaching the victim and there is a real threat of recurrence of violence. In practical terms, an authorized police officer, the circle of whom is determined by the order of the Minister of Internal Affairs of Georgia, assesses the reality of the threat of recurrence of violence based on the risk assessment tool and, by answering specific questions, with the consent of the victim, makes decisions on the implementation of electronic surveillance. The existence of the above three conditions in combination is necessary for the authorized officer to make a decision on the establishment of electronic surveillance. In the event of issuing a protocol on the implementation of electronic supervision after making a decision, it shall be submitted to the court for approval within 24 hours of issuance. The court shall consider the issue within 24 hours of this application in accordance with the procedure established by the legislation of Georgia and shall make a decision. If the court does not satisfy the petition, electronic supervision shall not be implemented. The electronic supervision mechanism in Georgia began operating in September 2020, and to date it has been used in more than 110 cases. According to data from the last two years, investigations have been initiated into more than 10,000 cases of domestic violence and family crimes, and more than 18,000 restraining orders have been issued. These data show that the rate of use of electronic supervision is very low, and it is mostly used only in cases of domestic violence.

Keywords: Electronic Surveillance, Fact of Violence, Restraining Order, Domestic Violence.

ინფორმირებული თანხმობა და პაციენტის უფლებების დაცვა შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში

გიორგი ეპიტაშვილი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

g.epitashvili24@sabauni.edu.ge

„ინფორმირებული თანხმობა“ ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფუნდამენტური უფლებების ეფექტურად დაცვის მექანიზმია, ხოლო მხარეებს შორის შეთანხმებული პირობების დარღვევის შემთხვევაში - პასუხისმგებლობის სამართლიანად გამანაწილებელი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბერკეტი. „ინფორმირებული თანხმობა“ სამედიცინო მომსახურების განსაკუთრებული იურიდიული ელემენტია, რაც სამედიცინო დაწესებულების მანიპულატორული რეაგირების დაწყების საფუძვლად ჩამოყალიბდა. შინაარსობრივად იგი „არჩევანის“ ფუნქციის მატარებელი დოკუმენტია, რომელიც ბოლომდე გაცხადებული და გასაგებად აღქმადი სამედიცინო კონსულტირების შედეგად მიიღება. თანხმობა პაციენტის ლეგიტიმური ინტერესების - პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი შეჭრის ან თვითგამორკვევის უფლების, ანდა პაციენტის ნების ავტონომიურობის პრინციპის დარღვევის რისკის საფრთხისგან დაცვის მექანიზმია. მედიცინაში პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჰარმონიზებამ პაციენტსა და ექიმს შორის პატერნალისტური მიდგომების მოდერნიზება გამოიწვია. „ინფორმირებულმა თანხმობამ“ მკურნალობის დაწყება-დასრულების, ასევე მკურნალობის მეთოდის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი სამართლებრივი წონა-დობა პაციენტის პოზიციას შესძინა. შესაბამისად, ინფორმირებული თანხმობა არ არის ფორმალური დატვირთვის მქონე ფიქციური შინაარსის მქონე ინსტრუმენტი. იგი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი კვლევის ობიექტია, რასაც პირადი ცხოვრების ფარგლებში არალეგიტიმური შეჭრისგან დამცავი სამართლებრივი ფილტრის ფუნქციის მატარებელი საშუალებაა. „ინფორმირებული თანხმობა“ ქართულ სამედიცინო სამართლაში კონტინენტური ევროპული სამართლის რეცეფციის შედეგია. გერმანია-საფრანგეთის კანონმდებლობა ამ მხრივ ყველაზე მეტად მოდელურია. თუმცა ამავე დროს, პაციენტის ნების ავტონომიურობის პრონციპის დაცვის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, რაც შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში ქართული სამართლის ამ დარგის განვითარებისთვის შეუფასებლად ღირებული მასალას ქმნის.

საკვანძო სიტყვები: ინფორმირებული თანხმობა, პაციენტის უფლებები, სამედიცინო მომსახურება, პასუხისმგებლობა, კანონმდებლობა.

Informed Consent and Protection of Patient Rights in a Comparative Legal Perspective

Giorgi Epitashvili

PhD student, Sulkhan-Saba Orbeliani University

g.epitashvili24@sabauni.edu.ge

“Informed consent” is a mechanism for effectively protecting fundamental rights related to human health, and in case of violation of the conditions agreed between the parties - an important legal lever for fairly distributing responsibility. “Informed consent” is a special legal element of medical service, which has become the basis for initiating a manipulative response by a medical institution. In content, it is a document carrying the function of a “choice”, which is obtained as a result of fully stated and understandable medical consultation. Consent is a mechanism for protecting the patient’s legitimate interests - from unjustified intrusion into personal life or the risk of violating the right to self-determination, or the principle of autonomy of the patient’s will. The harmonization of professional ethics norms and fundamental human rights and freedoms in medicine has led to the modernization of paternalistic approaches between the patient and the doctor. “Informed consent” has given the patient’s position significant legal weight in the process of starting and ending treatment, as well as selecting a treatment method. Accordingly, informed consent is not a formal instrument with a fictional content. It is an object of research independent of the medical service contract, which is a means of protecting against illegitimate intrusion into private life. “Informed consent” is the result of the reception of continental European law in Georgian medical law. German-French legislation is the most exemplary in this regard. However, at the same time, international human rights case law is extremely important in terms of protecting the principle of patient autonomy, which creates invaluable material for the development of this field of Georgian law in a comparative legal perspective.

Keywords: Informed Consent, Patient Rights, Medical Services, Responsibility, Legislation.

**ქორწინება როგორც განვითარებადი უფლება: ქართული მონესრიგება
ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის კონტექსტში**

ცისია ოქროპირიძე

ასისტენტი, დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

tsisia.okropiridze@sabauni.edu.ge

ქორწინების უფლება განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტით. ქორწინების უფლების ნორმაში მითითებულია ქორწინება, როგორც სრულწლოვანი ქალებისა და მამაკაცების ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც პრაქტიკაში განმარტებული იქნა, როგორც ბიოლოგიურად ქალისა და ბიოლოგიურად მამაკაცის კავშირი. ქორწინების უფლების ამ ფორმით ჩამოყალიბება და განმტკიცება მიჩნეული იქნა ქორწინებისა და ოჯახის ე.წ ტრადიციულ გაგებად, რომელიც პრაქტიკაში გამრავლებადუნარიანი ქალისა და მამაკაცის ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებას გულისხმობდა. ქორწინების უფლების მსგავსი განმარტება დაუკავშირდა ამ ინსტრუმენტების მიღების დროს და მათ შემოქმედთა განზრახვებს, რომელიც უკავშირდება იმ პერიოდში არსებულ რეალობას და სოციალურ აღქმებს. შესაბამისად, ყურადღების მიღმა დარჩა გასული საუკუნის გამოწვევები, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრობლემა, რომელმაც (დიდწილად) განაპირობა ქორწინების სხვა ძირითად უფლებების გვერდით მოაზრება. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს მიდგომა შეიცვალა, მკაცრად ჰეტერონორმატიული უფლებიდან, ქორწინება აღიარებული იქნა, როგორც განვითარებადი უფლება. იმის მოცემულობაში, რომ თანამედროვე სამყაროში აღიარებული იქნა ქორწინების ინსტიტუტის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები და საზოგადოების თანამედროვე საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა, საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქორწინების ნეიტრალური ფორმულირება შეიცვალა და იგი ჩამოყალიბდა, როგორც ქალისა და მამაკაცის ექსკლუზიური ფლება.

საკვანძო სიტყვები: ქორწინება, უფლება, ოჯახი, კონსტიტუცია, კანონმდებლობა, განმარტება.

Marriage as an Emerging Right: Georgian Regulation in the Context of European Human Rights Law

Tsisia Okropiridze

Affiliated Assistant, PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

tsisia.okropiridze@sabauni.edu.ge

The right to marry has been strengthened by several international instruments. The norm of the right to marry refers to marriage as a voluntary union of adult women and men, which in practice has been interpreted as a union between a biological woman and a biological man. The formation and strengthening of the right to marry in this form was considered the so-called traditional understanding of marriage and family, which in practice meant the right of a woman and a man of reproductive age to marry and found a family. Such a definition of the right to marry was associated with the time of adoption of these instruments and the intentions of their creators, which are related to the reality and social perceptions existing at that time. Accordingly, the challenges of the last century, including the problem of equality between women and men, which (to a large extent) led to the consideration of marriage alongside other fundamental rights, remained out of focus. Since the beginning of the 21st century, the approach of the European Court of Human Rights has changed, from a strictly heteronormative right, to recognizing marriage as an evolving right. Given that the modern world has recognized the ongoing changes within the institution of marriage and the need to consider the modern needs of society, because of the amendments made to the Constitution of Georgia in 2017, the neutral formulation of marriage has changed, and it has been established as an exclusive union between a man and a woman.

Keywords: Marriage, Human Right, Family, Constitution, Legislation, Interpretation.

**ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის ზეგავლენა ადამიანის
უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ხელოვნური
ინტელექტის დანერგვის პროცესში**

გიორგი კვირიკაშვილი

სამართლის მაგისტრი, გრონიנגენის უნივერსიტეტი

gi_kvirkashvili@cu.edu.ge

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უმნიშვნელოვანესი, თუმცა ძალიან გადატვირთული ინსტიტუტია. დღესდღეისობით, სასამართლო ყოველწლიურად 45000 ზემეტ განაცხადს იღებს. ამ პირობებში, სასამართლოს განტვირთვის მიზნით, მუშავდება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამა, რომელიც აპლიკანტს, თავისი საქმის გარემოებებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ურჩევს გაგზავნოს თუ არა განაცხადი ევროპულ სასამართლოში. მოხენების ფარგლებში გაანალიზებული იქნება ამ პროგრამის მახასიათებლები და ლოგიკა, რომელსაც პროგრამა გამოიყენებს რეკომენდაციის გასაცემად. მეტიც, ყურადღება გამახვილდება პროგრამის შექმნისას ჩატარებულ ექსპერტიმენტებსა და საბოლოო ვერსიის ფორმირებაზე მის ზეგავლენაზე. ამავე მოხსენების მოკლედ იქნება მიმოხილული ხელოვნური ინტელექტისთვის ინფორმაციის "სწავლების" ზოგადი მოდელები. ამ მოდელების აღწერისას ასევე შეფასდება თითოეული მათგანის უპირატესობები და პრობლემები პრაქტიკაში მათი დანერგვისა და გამოყენებადობის კუთხით. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში ძალაში შევიდა ევროკავშირის მიერ მიღებული ხელოვნური ინტელექტის აქტი. ეს დოკუმენტი რეალურად, პირველი სავალდებულო ძალის მქონე აქტია, რომელიც მთლიანად ხელოვნური ინტელექტის საკითხებს ეძღვნება. მოხსენების ფარგლებში, ზემოხსენებული პროგრამული უზრუნველყოფის ანალიზის ქრილში შეფასდება ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის გამოყენებადობა პრაქტიკაში. აუცილებელია, რომ ზემოხსენებული აქტი შეფასდეს საერთაშორისო სამართლებრივ ქრილშიც, რადგან, როგორც ითქვა, იგი დღესდღეისობით, ერთადერთი მოქმედი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტია, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს ეხება. ხსენებულ აქტთან ერთად, მოხსენების ფარგლებში, შეფასდება ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენცია ხელოვნური ინტელექტის შესახებ. მართალია დოკუმენტი ჯერ არ ამოქმედებულა, თუმცა ამ აქტების პოტენციური ურთიერთმიმართების შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან ევროკავშირის აქტი რეგულაციის ფორმითაა მიღებული, ხოლო კონვენცია კლასიკური საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებაა.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლო პრაქტიკა.

The Impact of the EU Artificial Intelligence Act on the Practice of the European Court of Human Rights in the Process of Implementing Artificial Intelligence

Giorgi Kvirikashvili

Master of Laws, University of Groningen

gi_kvirkashvili@cu.edu.ge

The European Court of Human Rights is a very important, but very busy institution. Today, the court receives more than 45,000 applications every year. In these conditions, in order to relieve the court, an artificial intelligence-based program is being developed that, based on an analysis of the circumstances of its case and case law, advises the applicant whether to send an application to the European Court or not. The presentation will analyze the features of this program and the logic that the program will use to issue a recommendation. Moreover, attention will be paid to the expertise carried out during the creation of the program and its impact on the formation of the final version. The same report will briefly review general models for "teaching" information to artificial intelligence. When describing these models, the advantages and problems of each of them in terms of their implementation and applicability in practice will also be assessed. It is also worth noting that the Artificial Intelligence Act adopted by the European Union entered into force in August of this year. This document is the first legally binding act that is entirely dedicated to artificial intelligence. Within the framework of the report, the applicability of the EU Artificial Intelligence Act in practice will be assessed in the context of the analysis of the software. It is necessary that the act is also assessed in the international legal context, because, as mentioned, it is currently the only legally binding document that deals with artificial intelligence. Together with the act, within the framework of the report, the Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence will be assessed. Although the document has not yet entered into force, it is important to assess the potential interrelationships of these acts, since the EU act is adopted in the form of a regulation, while the Convention is a classic international legal treaty.

Keywords: European Union, Artificial Intelligence, European Court of Human Rights, Case Law.

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ქრილში

მერი კანთელაშვილი

დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

merikantelashvili@gmail.com

საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების გზები საერთო ღირებულებებს ეფუძნება. საქართველომ იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეები-სათვის სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებზე ხელმისაწვდომობა ბარიერების გარეშე. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტია, რომლის რეალიზაცია და დაცვის გარანტია დამოკიდებულია ადმინისტრაციულ ორგანოებთან ყველა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის შედეგზე. საჯარო მმართველობის ორგანოების მიერ საკითხის სიღრმისეული შესწავლა, სასამართლოებისთვის ქმნის საფუძველს მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება თითოეული მოქალაქისა თუ პირის მიმართ, ადმინისტრაციულ ორგანოში საკითხის ხელახალი განხილვის დაბრუნების გარეშე, დამატებითი მტკიცებულების მოძიების მიზნით არ მოხდეს დავის განხილვის გაჭიანურება. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების დაცვის გარანტია “კარგ მმართველობას” უკავშირდება, რომლის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების ღიაობა და გამჭვირვალობა, თითოეული მოქალაქისა თუ იურიდიული პირის საკითხის სრულყოფილი განხილვა, დაინტერესებული მხარეების ადმინისტრაციული წარმოებაში ჩართულობა და მათი დაცვით უზრუნველყოფა შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, რათა გადაილახოს ადმინისტრაციულ ორგანოებთან და მართლმსაჯულებაზე წვდომისათვის ხელოვნურად შექმნილი სოციალური, კულტურული, ფიზიკური თუ ფინანსური ბარიერები. უფასო საადვოკატო მომსახურება, იურიდიული კონსულტაცია, დამოუკიდებელი ადვოკატები და იურისტები, ექსპერტთა ჯგუფები მიმართულია არსებული ბარიერების დაძლევაზე. ასევე მნიშვნელოვანია საქმის განმხილველი საჯარო მოხელეთა პროფესიული ცოდნისა და ეთიკის, უნარების ამაღლება, ერთიანი ადმინისტრაციული წარმოების ელექტრონული ბაზის შექმნა, მოსამართლეთა ცოდნის, უნარების განვითარება და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მიღწევა. მოხსენებაში აღნიშნული საკიტხები არის გაანალიზებული და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული წარმოება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ასოცირების შეთანხმება, იურიდიული მომსახურება, კარგი მმართველობა.

Fair Administrative Proceedings and the Right to a Fair Trial in the Context of the Association Agreement with the European Union

Meri Kantelashvili

PhD Student, Caucasus International University

merikantelashvili@gmail.com

The paths of rapprochement between Georgia and the European Union are based on common values. Georgia has undertaken to ensure barrier-free access to courts and administrative bodies for its citizens. The right to a fair administrative procedure is the foundation of the right to a fair trial, the realization and guarantee of which depend on the result of exhausting all legal remedies with administrative bodies. In-depth study of the issue by public administration bodies creates a basis for the courts to make a fair decision in relation to each citizen or person, without returning the issue to the administrative body for reconsideration, and to avoid delaying the consideration of the dispute to obtain additional evidence. The guarantee of the protection of the right to fair administrative proceedings is related to "good governance", the purpose of which is the openness and transparency of administrative bodies, the comprehensive consideration of the issue of each citizen or legal entity, the involvement of interested parties in administrative proceedings and their protection, considering their respective needs. In this process, it is important to raise civil awareness to overcome artificially created social, cultural, physical or financial barriers to access to administrative bodies and justice. Free legal services, legal advice, independent lawyers and jurists, expert groups are aimed at overcoming existing barriers. It is also important to increase the professional knowledge and ethics, skills of public officials hearing cases, create a unified electronic database of administrative proceedings, develop the knowledge and skills of judges and achieve a high level of independence. The report analyzes the issues and presents relevant recommendations.

Keywords: Administrative Proceedings, Right to a Fair Trial, Association Agreement, Legal Services, Good Governance.

**პროფაილინგი, ხელოვნური ინტელექტი და გამოწვევები ევროკავშირის
ხელოვნური ინტელექტის აქტთან მიმართებით**

მაია მხატვრიშვილი

იურისტი, სახალხო დამცველის აპარატი

makamkhatvrishvili@gmail.com

თანამედროვე სამყაროში, ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურად, ცხოვრების ყველა სფეროში გამოიყენება, როგორც ფიზიკური პირების მიერ, ასევე კერძო და საჯარო სექტორში. ხელოვნური ინტელექტის განვითარება საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს და განვითარების რა ნიშნულს მიაღწევს არავინ იცის. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ინსტრუმენტების გამოყენების გავრცელების გათვალისწინებით, იგი ადამიანის უფლებათა ხელყოფის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა ევროკავშირის „ხელოვნური ინტელექტის აქტი“, რაც პირველ სამართლებრივ მარეგულირებელ ჩარჩოს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რამდენად შეძლებს ეს აქტი ქართულ კანონმდებლობაზე გავლენის მოხდენას პროფაილინგის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში. ზემოხსენებულ ჭრილში საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს ტერმინს-ხელოვნური ინტელექტი. თუმცა, მისი გამოყენებით, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვას არეგულირებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი განმარტავს პროფაილინგს და მისი გამოყენების წესებს. რა რისკები ახლავს პროფაილინგს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენების პირობებში? რაიმე სახით იზღუდება თუარა პროფაილინგი მონაცემთა სუბიექტთა მიმართ ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს მას? როგორი პრაქტიკა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხელოვნური ინტელექტისა და პროფაილინგზე ნამსჯელი? საკონფერენციო თემის ფარგლებში, მაქსიმალურად გაეცემა პასუხი ზემოაღნიშნულ კითხვებს და გაანალიზდება არსებული გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, პროფაილინგი, ევროკავშირი, ხელოვნური ინტელექტის აქტი, სასამართლო პრაქტიკა.

Profiling, Artificial Intelligence, and Challenges in the Context of the EU Artificial Intelligence Act

Maia Mkhatchvishvili

Lawyer, Office of the Public Defender of Georgia

makamkhatchvishvili@gmail.com

In the modern world, artificial intelligence (AI) is increasingly integrated into all aspects of daily life, both by individuals and within public and private sectors. Its rapid and dynamic development continues to reshape various domains, and the full extent of its future capabilities remains uncertain. As AI-based tools become more prevalent in public life, they also present growing risks of human rights violations. On August 1, 2024, the European Union's Artificial Intelligence Act entered into force, introducing the first comprehensive legal framework for regulating AI. It is crucial to assess how this Act may influence Georgian legislation, particularly in the context of personal data processing through profiling. Notably, Georgian legislation does not currently define the term "artificial intelligence." Nevertheless, the Law of Georgia on Personal Data Protection regulates the processing of personal data through AI tools, with a focus on safeguarding fundamental human rights and freedoms — including the rights to private and family life, personal space, and the confidentiality of communication. This law defines profiling and establishes the rules governing its application. What risks does profiling pose in the context of increased use of AI-based tools? Is profiling in any way restricted when it comes to data subjects and the use of artificial intelligence? What are the potential benefits and drawbacks? What kind of case law exists in the European Court of Human Rights regarding artificial intelligence and profiling? This presentation seeks to address these questions and provide an in-depth analysis of the existing challenges within this rapidly evolving legal and technological landscape.

Keywords: Artificial intelligence, Profiling, European Union, Artificial Intelligence Act, Case Law.

საჯარო აქტის გავლენა კერძო სამართლებრივ ურთიერთობაზე

სოფიო ბარნაბიშვილი

დოქტორანტი, ასისტენტი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
sopio.barnabishvili20@gruni.edu.ge

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება მიწის მართვის ერთიანი პოლიტიკის მნიშვნელობა, რესურსების სწორად გადანაწილების საჭიროება და ქონებრივი უფლებების დამცავი გარანტიების შექმნის აუცილებლობა, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. შესაბამისად იზრდება საჯარო აქტების გავლენა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სანივთო სამართალი არეგულირებს კონკრეტული სუბიექტების უფლებებს გარკვეულ ობიექტებზე, ქონებრივი უფლებების მომწესრიგებელი ნორმები კერძო სამართლის ქვაკუთხედად შეიძლება იქნას მიჩნეული. შესაბამისად აღმოჩნდა, რომ სანივთო სამართლის ნორმების რეალიზაციის მიზნით საჭიროა საჯარო სამართლის გამოყენება. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად გაიზარდა საჯარო სამართლის სუბიექტის, მარეგისტრირებული ორგანოს ფუნქცია და ევროპის ქვეყნების ნაწილში კონსტიტუციური მნიშვნელობა შეიძინა. ქართული სარეგისტრაციო სისტემის მთავარი ღირებულება არის ის, რომ საკანონმდებლო დონეზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ თითოეულ უძრავ ნივთზე არსებული ჩანაწერების მიმართ მოქმედი სისრულისა და უტყუარობის პრეზუმპცია საჯარო წესრიგის, ნივთების თავისუფალი ბრუნვისა და საკუთრების უფლების დაცვისგარანტიაა. მოხსენების ფარგლებში განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების სარეგისტრაციო სისტემები და მათი ძირითადი მახასიათებლები ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითზე. აღნიშნულია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რეგისტრაციის ინსტიტუტის უპირველესი ფაქტორი უძრავი ნივთის მაღალ ღირებულებასა და მის სოციალურ მნიშვნელობას უკავშირდება. იურიდიულ დოქტრინაში საკუთრების უფლების გადაცემის სისტემებზეა დამოკიდებული საკუთრების უფლების წარმოშობის საწყისის განსაზღვრა, რითაც რეალიზდება მესაკუთრის თავისუფალი ნება, მოეპყრას ნივთს ისე, როგორც საკუთარს. მოხსენებაში შეფასებულია საჯარო აქტების გავლენა და მისი მნიშვნელობა საკუთრების უფლებისწარმოშობის პროცესში.

საკვანძო სიტყვა: საჯარო აქტი, კერძო სამართლებრივ ურთიერთობა, საკუთრების უფლება, რეესტრი, კანონმდებლობა.

The Impact of Public Acts on Private Legal Relations

Sophio Barnabishvili

PhD Student, Assistant, Grigol Robakidze University

sopio.barnabishvili20@gruni.edu.ge

With the development of a market economy, the importance of a unified land management policy, the need for proper distribution of resources, and the necessity of creating guarantees protecting property rights, both from a legal and economic point of view, are increasing. Accordingly, the influence of public acts in the process of obtaining ownership of real estate in private legal relations is increasing. Even though civil law regulates the rights of specific subjects to certain objects, the norms regulating property rights can be considered the cornerstone of private law. Accordingly, it turned out that the use of public law is necessary for the implementation of the norms of civil law. Along with the development of private legal relations, the function of the subject of public law, the registration authority, has increased and has acquired constitutional significance in some European countries. The main value of the Georgian registration system is that the presumption of completeness and accuracy of the records on each immovable property, which is established by the National Agency of Public Registry at the legislative level, is a guarantee of public order, free circulation of things and protection of property rights. The report discusses the registration systems of foreign countries and their main features using the example of European and Latin American countries. It is noted that in the scientific literature, the primary factor of the institution of registration is related to the high value of the immovable property and its social significance. In legal doctrine, the determination of the origin of the right of ownership depends on the systems of transfer of property rights, which realizes the free will of the owner to treat the thing as his own. The report assesses the influence of public acts and their importance in the process of origin of property rights.

Keywords: Public Act, Private Legal Relationship, Property Rights, Registry, Legislation.

ელექტრონული მმართველობის განვითარება, არსებული პრობლემები, ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები

მაკა სალხინაშვილი

პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

salkhinashvilimaka@gmail.com

ელექტრონული მმართველობა, ან E-Governance, გულისხმობს მთავრობის საქმიანობის ორგანიზებასა და განხორციელებას ინტერნეტისა და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ელექტრონული მმართველობის პრაქტიკა სხვადასხვაგვარად ვითარდება და ძირითადად მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ციფრული სერვისები, მმართველობის გამჭვირვალობა, საინფორმაციო უსაფრთხოება, მმართველობის გამჭვირვალობა, მომხმარებლის ჩართულობა და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი არის ზოგადი მიმოხილვა, მაგრამ კონკრეტული ქვეყნების პრაქტიკა და მიღწევები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურაზე და პოლიტიკურ გარემოზე. ციფრული მმართველობის ეპოქაში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, თუმცა არის ხარვეზებიც, რაც თავის მხრივ დახვეწას მოითხოვს. ბევრი ისეთი მიზეზია, რომ ხელოვნურად არის გამოწვეული, ეს განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე შეიძლება ითქვას. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანია ე.წ. Blockchain ტექნოლოგიის დანერგვა, რაც გავლენას ახდენს ტექნოლოგიის პოტენციალზე, რათა მოახდინოს საჯარო სექტორების ეფექტურობის გაზრდა და უსაფრთხოების გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია ასევე ციფრული პირადობის დოკუმენტის შემოღება, რაც მოქალაქეებს უმარტივებს სხვადასხვა ელექტრონულ სერვისებზე წვდომას. ელექტრონული სერვისები გაუმჯობესება მოხდება მაშინ, თუ რეგულარულად მომხმარებლის გამოკითხვები ჩატარდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს სერვისების გაუმჯობესებას და მომხმარებლის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ელექტრონული მმართველობის სისტემა აქტიურად ვითარდება, რაც ხელს უწყობს მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების გამარტივებას და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სხვადასხვა ოპერაციების ეფექტურობას. მოხსენებაში განხილული იქნება ბევრი საინტერესო და პრობლემური საკითხი, ასევე მათი გადაჭრის გზები, რეკომენდაციები და შენიშვნები, რაც მხრივ ხელს შეუწყობს ელექტრონული მმართველობის შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვა: ელექტრონული მმართველობა, ციფრული სერვისები, გამჭვირვალობა, საინფორმაციო უსაფრთხოება.

Development of E-governance, Existing Problems, Shortcomings and Ways to Eliminate them

Maka Salkhinashvilimaka

Professor, Grigol Robakidze University

salkhinashvilimaka@gmail.com

Electronic governance, or E-Governance, refers to the organization and implementation of government activities using the Internet and other information technologies. In Georgia and abroad, e-governance practices are developing in different ways and mainly include the following aspects: digital services, transparency of governance, information security, transparency of governance, user engagement, etc. The above is a general overview, but the practices and achievements of specific countries differ greatly from each other, depending on the country's economic situation, technological infrastructure and political environment. Many important projects have been implemented in the era of digital governance, however, there are also shortcomings that require improvement. There are many reasons that are artificially caused, this can be said especially for local self-government bodies. Recently, the introduction of the so-called Blockchain technology has been important, which affects the potential of technology to increase the efficiency and improve security of public sectors. It is also important to introduce a digital identity document, which will make it easier for citizens to access various electronic services. Electronic services will be improved if regular user surveys are conducted by the relevant administrative bodies, which in turn will contribute to improving services and meeting user needs. In European countries, including Georgia, the e-government system is actively developing, which contributes to simplifying the daily lives of citizens and increasing the efficiency of various operations by state bodies. The report will discuss many interesting and problematic issues, as well as ways to solve them, recommendations and notes, which in turn will contribute to the further development of e-government.

Keywords: E-government, Digital Services, Transparency, Information security.

**მზრუნველობამოკლებული ბავშვის სოციალური დაცვა და ევროკავშირის
სამართლის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები**

ნორიკო თავბერიძე

დოქტორანტი, სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

noriko.tavberidze@sabauni.edu.ge

ევროკავშირის „ევროპის ბავშვთა გარანტიის“ 2021 წლის მარტში დაწყებული ინიციატივა ქმნის საფუძველს, რომეველა ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს უფასო განათლებაზე, სკოლაში ჯანსაღ კვებაზე, ჯანდაცვასა და ღირსეულ საცხოვრისზე. ინიციატივის დაწყებიდან ერთი წლის თავზე ევროკავშირის ქვეყნები წარადგენენ ევროკომისიაში ეროვნული სამოქმედო გეგმას, რომელშიც უნდა განმარტონ, თუ როგორ აპირებენ ბავშვთა გარანტიის ინიციატივის განხორციელებას. ინიციატივის ფარგლებში ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფი არის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები. ნაშრომში განხილული იქნება ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა სიღარიბის და სოციალური ექსკლუზიის მიმართულებით, რის შემდგომაც მოხდება საქართველოს მდგომარეობის შედარება, ოჯახის მხარდამჭერი სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალური დაცვის პროგრამების განხილვა და მათი ხელმისაწვდომობის შედარება ევროპის ქვეყნებში დანერგილ ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენციის მექანიზმებთან. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 254 333 ბავშვი შემწეობის მიმღებია, საარსებო შემწეობის სისტემის მიღმა სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა სამიზნე ჯგუფის ხელმისაწვდომობის პრობლემას უფასო ჯანდაცვაზე. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, მოიაზრებს უფასო სერვისებს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის შესაბამის კონსულტაციას და სათანადო კვალიფიკაციის მქონე ჯანდაცვის პროფესიონალს, შესაბამისი საჭირო შემდგომი ქმედებებით. მოყვანილი სტატისტიკის ანალიზის შედეგად, დავინახავთ, რომ ჯანმრთელობის ხელშეწყობის მრავალი პროგრამა ყველაზე მეტად არ წვდება სოციალურად დაუცველთა ფენას და შემდგომ უპირატესობებს აძლევს ფინანსურად შეძლებულ ადამიანებს. ამრიგად, პრინციპი „პროპორციული უნივერსალიზმი“, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების უნივერსალურ წვდომას შეთავაზების დროს, პრაქტიკაში არც თუ ისე კარგად მუშაობს.

საკვანძო სიტყვები: მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სოციალური დაცვა, ევროკავშირის სამართალი, კანონმდებლობა, ჰარმონიზაცია.

Social Protection of Children Without Appropriate Care and Challenges Related to Harmonization of EU Law

Noriko Tavberidze

PhD Student, Sulkhani Saba Orbeliani University

noriko.tavberidze@sabauni.edu.ge

The European Union's "European Child Guarantee" initiative, launched in March 2021, lays the foundation for all children to have access to free education, healthy meals at school, healthcare and decent housing. One year after the launch of the initiative, EU countries will submit a National Action Plan to the European Commission, explaining how they intend to implement the Child Guarantee initiative. One of the target groups within the initiative is children at risk of abandonment. The paper will discuss the current situation in EU countries in terms of poverty and social exclusion, followed by a comparison of the situation in Georgia, a discussion of social protection programs at the state and municipal levels supporting families, and a comparison of their accessibility with the mechanisms for preventing child separation from their families introduced in European countries. Statistical data show that although 254,333 children in Georgia are beneficiaries of social assistance, a significant proportion of children living in poverty remain outside the social assistance system. A separate chapter in the paper is devoted to the problem of access of the target group to free healthcare. Access to healthcare, based on the purpose of the paper, refers to free services that provide the child with appropriate consultation and access to a qualified healthcare professional, with the necessary follow-up actions. As a result of the analysis of the statistics presented, we will see that many health promotion programs do not reach the most vulnerable strata of society and further give advantages to financially well-off people. Thus, the principle of "proportional universalism", which ensures universal access to services when offered, does not work very well in practice.

Keywords: Children Deprived of Care, Social Protection, EU Law, Legislation, Harmonization.

ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში**პაატა ჯავახიშვილი**

ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

paata.javakhishvili@tsu.ge

საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტური დაცვის მექანიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ სამართლებრივ სინამდვილეში. საქართველოში 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებები, სხვა საკითხებთან ერთად ასევე შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ დებულებებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ის ნორმატიული ცვლილებებია, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს უკავშირდებოდა. რეფორმამდელი რედაქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი ორგანული კანონით განისაზღვრებოდა. რეფორმის შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების განსაზღვრა მხოლოდ კონსტიტუციით მოწესრიგებულ საკითხთა წრეს მიეკუთვნება და შეიზღუდა ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთი უფლებამოსილებების დადგენა, რაც კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი ორგანული კანონი, საკონსტიტუციო რეფორმამდე და მის შემდეგაც ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს რიგ უფლებამოსილებებს, რომლებიც განისაზღვრებოდა არა კონსტიტუციით, არამედ ორგანული კანონით. თუმცა ცვლილებების შემდეგ კონსტიტუციურობის თვალსაზრისით პრობლემური გახდა ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე, და მათ შორის, ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების განსაზღვრა. ფორმალური თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუცია ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისთვის ცალკე დებულებას არ ითვალისწინებს. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციით განსაზღვრულია როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, მისი გათვალისწინებითაც სირთულეს უკავშირდება მკაფიო კომპეტენციური მიჯნის დადგენა ფორმალურ და მატერიალურ კონტროლს შორის. აღნიშნულის გარდა, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი ორგანული კანონის ნორმატიული საფუძვლების ანალიზი, რამდენად იძლევა ისინი ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. წინამდებარე მოხსენების მიზანი სწორედ ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის ნორმატიული საფუძვლებისა და ამ უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი პერსპექტივის შეფასებაა.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ორგანული კანონი, უფლებამოსილებები.

Formal Constitutional Control in the Georgian Legal Perspective

Paata Javakhishvili

Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

paata.javakhishvili@tsu.ge

Constitutional control, as a mechanism for the effective protection of fundamental human rights, occupies a special place in European legal reality. In Georgia, the large-scale amendments made to the Constitution of Georgia in 2017, among other issues, also affected the provisions related to the Constitutional Court. Of particular interest in this regard are the normative changes related to the powers of the Constitutional Court. According to the pre-reform version, the powers of the Constitutional Court of Georgia were determined by the Constitution of Georgia and the relevant organic law. After the reform, the definition of the powers of the Constitutional Court belongs only to the circle of issues regulated by the Constitution, and the organic law was limited to determining the powers of the Constitutional Court that are not defined by the Constitution. The Organic Law regulating the activities of the Constitutional Court of Georgia, before and after the constitutional reform, provided for a number of powers of the Constitutional Court, which were determined not by the Constitution, but by the Organic Law. However, after the amendments, it became problematic from the point of view of constitutionality to define several powers of the Constitutional Court by the Organic Law, including formal constitutional control. From a formal point of view, the Constitution of Georgia does not provide for a separate provision for the exercise of formal constitutional control. Although the Constitutional Court is defined by the Constitution as a body of constitutional control, even taking this into account, it is difficult to establish a clear boundary of competence between formal and substantive control. In addition, it is interesting to analyze the normative foundations of the Organic Law regulating the activities of the Constitutional Court, to what extent they provide for the exercise of formal constitutional control. The purpose of this report is precisely to assess the normative foundations of formal constitutional control and the legal perspective of exercising this authority.

Keywords: Constitutional Court, Constitution, Legislation, Organic Law, powers of the Constitutional Court.

გამჭვირვალობის კანონი და სამართლის უზენაესობის გამოწვევები**დიმიტრი გეგენავა**

პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

d.gegenava@sabauni.edu.ge

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი არაერთი ასპექტითაა პრობლემური, იქნება ეს საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები თუ ადმინისტრაციული სამართალი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლის უზენაესობასთან და სამართლებრივ განჭვრეტადობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, კრებს და აერთიანებს პრობლემებს სისტემური თვალსაზრისით. კანონის ნორმების დიდი ნაწილი, მათი შინაარსი, გავრცელების სფერო, ადრესატების განსაზღვრულობა არაერთ კითხვის ნიშანს ბადებს და სრულიად არაგანჭვრეტადად აქცევს მას, რითაც სამართლის პროგნოზირებადობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნქციების აღსრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მსგავსი ვითარება კი კიდევ უფრო ააშკარავებს იმ რეალურ მიზნებს, რასაც საკანონმდებლო აქტი ისახავდა. საყურადღებოა კანონით გამოყენებული მზლუდავი საშუალების თანაზომიერება და თავსებადობა ზოგადად სამართლის უზენაესობის საკონსტიტუციო პრინციპთან, ასევე საინტერესოა, ნებისმიერი პირისგან ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის ადმინისტრაციული წესით გამოთხოვნის შესაძლებლობა რამდენად შეესაბამება პროფესიული საიდუმლოების დაცვის სამართლებრივ სტანდარტს და რამდენად ქმნის მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პროფესიათა წარმომადგენლებში სამართლებრივი განსაზღვრულობის წინაპირობას.

საკვანძო სიტყვები: გამჭვირვალობა, კანონი, სამართლის უზენაესობა, სამართლებრივი განჭვრეტადობა, თანაზომიერება.

Transparency Law and Challenges to the Rule of Law

Dimitry Gegenava

Professor, Sulkhani-Saba Orbeliani University

d.gegenava@sabauni.edu.ge

The Georgian Law “On Transparency of Foreign Influence” is problematic in many aspects, from the point of view of constitutional law, fundamental human rights, or administrative law. It should be especially noted the issues related to the rule of law and legal predictability, which, one might say, gather and unite the problems from a systemic point of view. A large part of the norms of the law, their content, scope of application, and the definition of addressees raise several questions marks and make it completely unpredictable, thus calling into question the fulfillment of the functions of predictability and legal security of the law. Such a situation further reveals the real goals that the legislative act was intended to achieve. It is noteworthy that the restrictive measure used by the law is proportionate and compatible with the constitutional principle of the rule of law in general. It is also interesting to see to what extent the possibility of requesting any type of information from any person by administrative procedure complies with the legal standard for the protection of professional secrecy and to what extent it creates a prerequisite for legal certainty among representatives of professions with increased public interest.

Keywords: Transparency, Law, Rule of Law, Legal Certainty, Proportionality.

გამჭვირვალობის კანონი შედარებით პერსპექტივაში

გიორგი გორაძე

პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

g.goradze@sabauni.edu.ge

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისას ინიციატორები მიუთითებდნენ მსგავს აქტებზე, რომლებიც მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფოში. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა ამერიკულ და ფრანგულ „ანალიზებზე“. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად შეიძლება ქართული კანონის ამ აქტებთან შედარება, მათი მსგავსებისა თუ განსხვავებების განხილვა. გამჭვირვალობის კანონის შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში განხილვა ნათელს მოფენს ბევრ პრაქტიკულ საკითხს, მათ შორის, კანონის მოქმედების სფეროს, ადრესატების განსაზღვრის, პასუხისმგებლობისა და სამართლებრივი შედეგების მიმართულებით. ფორმალურთან ერთად აუცილებელია შინაარსობრივი ანალიზი და შედარება, ვინაიდან მხოლოდ ფორმალური დონე არ იძლევა სრულყოფილ და ამომწურავ პასუხებს, მეტიც ხშირად ფორმალისტური კომპარატივიზმს მცდარ შედეგებამდე მიჰყავს აუდიტორია და მანიპულირებად შედეგებს იძლევა.

საკვანძო სიტყვები: უცხოური გავლენის გამჭვირვალობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, კანონმდებლობა, ადამიანის უფლებების დაცვა.

Transparency Law in a Comparative Perspective

Giorgi Goradze

Professor, Sulkhani-Saba Orbeliani University

g.goradze@sabauni.edu.ge

When adopting the Georgian Law “On Transparency of Foreign Influence”, the initiators pointed to similar acts that are in force in various states. Particular attention was paid to the American and French “analogs”. In this regard, great importance is attached to the extent to which Georgian law can be compared with these acts, to discuss their similarities and differences. A discussion of the Transparency Law from a comparative-legal perspective sheds light on many practical issues, including the scope of the law, the definition of addressees, responsibility and legal consequences. Along with the formal, a substantive analysis and comparison is necessary, since the formal level alone does not provide complete and exhaustive answers, moreover, formalistic comparativity often leads the audience to erroneous conclusions and produces manipulable results.

Keywords: Transparency of Foreign Influence, Comparative Legal Analysis, Legislation, Human Rights Protection.

გამჭირვალობის კანონები და საერთაშორისო მართლმსაჯულება

იოსებ ედიშერაშვილი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

iedisherashvili23@sabauni.edu.ge

საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, მსგავსი სულისკვეთების კანონების ამოქმედებისა და ძალაში შესვლის წარმატებული მცდელობები იყო უნგრეთსა და რუსეთში. აღსანიშნავია, რომ ორივე კანონი გასაჩივრებული იქნა შესაბამის საერთაშორისო სასამართლოში, რომელთა გადაწყვეტილებებიც გვაძლევს შესანიშნავ სურათს, თუ რამდენად ექცევა ასეთი სულისკვეთების კანონები და რეგულაციები ევროკავშირის ღირებულებებსა და კანონმდებლობაში და რამდენად შეესაბამება ადამიანის უფლებებს. რუსეთში, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში, გამჭირვალობის კანონი „Ecodefense“-მა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, გააპროტესტა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სასამართლოს შეფასებით, კანონი არღვევდა ადამიანის უფლებას, რადგან კანონით გამოწვეული სტიგმატიზაცია და შვეინროება, მსუსხავი ეფექტი და სამართლიანი პროცესის ნაკლებობა არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 და მე-13 მუხლებს. ეს გადაწყვეტილება პრეცედენტულია, რომელმაც დაიცვა სახელმწიფოს არასათანადო ჩარევისგან არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებები. სამწუხაროდ გადაწყვეტილების განხილვის შემდეგ, რუსეთში უკვე შეუძლებელი იყო სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება. უნგრეთში 2017 წელს მიღებული კანონი დავის საგანი გახდა ევროკავშირის სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ კანონი შეუსაბამო იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ღირებულებებთან. ეს არის კრიტიკული გადაწყვეტილება, რომელიც იცავს არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებებს თავისუფლად გაერთიანდნენ და მიიღონ დაფინანსება ხელისუფლების გადაჭარბებული ჩარევის გარეშე. ის ევროკავშირის ფარგლებში ადგენს სამოქალაქო საზოგადოების დაცვის მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს და აძლიერებს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის მნიშვნელობას. გადაწყვეტილება არის მკაფიო მტკიცებულება იმისა, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს და მიისწრაფის გახდეს ევროკავშირის წევრი, ვერ მიაღწევს მიზანს ასეთი სულისკვეთების კანონებით.

საკვანძო სიტყვები: უცხოური გავლენის გამჭირვალობა, კანონი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, სასამართლო.

Transparency Laws and International Justice

Ioseb Edisherashvili

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

iedisherashvili23@sabauni.edu.ge

Before the enactment of the Law on Transparency of Foreign Influence in Georgia, there were successful attempts to enact and enforce laws of a similar spirit in Hungary and Russia. It is noteworthy that both laws were challenged in the relevant international courts, whose decisions provide an excellent picture of the extent to which laws and regulations of such spirit comply with the values and legislation of the European Union and are in line with human rights. In Russia, as a member state of the Council of Europe, the transparency law was challenged by Ecodefense, together with other non-governmental organizations, in the European Court of Human Rights. According to the court, the law violated human rights, as the stigmatization and harassment caused by the law, the crippling effect, and the lack of a fair trial violated Articles 11 and 13 of the European Convention on Human Rights. This decision is a precedent that has protected the rights of NGOs from undue state interference. Unfortunately, after the decision was reviewed, it was no longer possible for civil society to function in Russia. A law adopted in Hungary in 2017 was challenged by the Court of Justice of the European Union, which found that the law was incompatible with EU law and values. This is a critical decision that protects the rights of NGOs to freely associate and receive funding without excessive government interference. It establishes a clear legal framework for the protection of civil society within the EU and reinforces the importance of respecting fundamental rights and freedoms. The decision is clear evidence that any country that wants and aspires to become a member of the EU cannot achieve its goal with laws of this nature.

Keywords: Transparency of Foreign Influence, Legislation, NGOs, European Union, Council of Europe, Court.

**დემოკრატიის ეროზია კანონმდებლობის საფარვეტში: „უცხოური
გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის
გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე**

ქეთევან ბახტაძე

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

q.bakhtadze@sabauni.edu.ge

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მნიშვნელოვნად ზღუდავს გამოხატვის, გაერთიანებისა და საქმიანობის თავისუფლებას. კანონი ავალდებულებს ორგანიზაციებს, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური წყაროებიდან, მათ შორის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მოდის, დარეგისტრირდნენ "უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად". ეს იარაღი და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები ქმნის მნიშვნელოვან ბარიერებს თავისუფალი საქმიანობისთვის. კანონის მოთხოვნები არღვევს გაერთიანების თავისუფლებას, რადგან წარმოშობს დამატებით ბიუროკრატიულ ბარიერებს და ორგანიზაციების სტიგმატიზაციას ახდენს, რაც ართულებს ორგანიზაციების შექმნასა და ფუნქციონირებას. ეს განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და ახლადშექმნილი ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ რესურსები დამატებითი ადმინისტრაციული ტვირთის დასაძლევად. კანონს აქვს „მსუსხავი ეფექტი“ გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც იწვევს თვითცენზურას კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვისას. ეს ეფექტი განსაკუთრებით მძაფრდება პოლიტიკურად და სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე, სადაც ორგანიზაციებმა შესაძლოა თავი შეიკავონ ხელისუფლების კრიტიკისგან სანქციების შიშით. საქმიანობის თავისუფლებას ზღუდავს მკაცრი მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნები, ასევე მძიმე სანქციები, რაც აფერხებს ორგანიზაციების ეფექტიან საქმიანობას. ეს შეზღუდვები განსაკუთრებით პრობლემურია ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ხშირად არიან კრიტიკულნი ხელისუფლების მიმართ. ვენეციის კომისია და OSCE/ODIHR აღნიშნავენ, რომ კანონით დადგენილი შეზღუდვები არაპროპორციულია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. კანონი მნიშვნელოვნად აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და საბოლოო ჯამში ამცირებს პლურალიზმს, აფერხებს საზოგადოებრივ დიალოგს დაზღუდავს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას.

საკვანძო სიტყვები: უცხოური გავლენის გამჭვირვალობა, კანონმდებლობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროპის საბჭო, დაფინანსება.

Erosion of Democracy Under the Cover of Legislation: The Impact of Georgia's Law on Transparency of Foreign Influence on Civil Society

Ketevan Bakhtadze

PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

q.bakhtadze@sabauni.edu.ge

The Law on Transparency of Foreign Influence significantly restricts freedom of expression, association, and activity. The law requires organizations that receive more than 20% of their income from foreign sources, including international donor organizations, to register as “organizations promoting the interests of a foreign power.” This label and the obligations associated with it create significant barriers to free activity. The law’s requirements violate freedom of association by creating additional bureaucratic barriers and stigmatizing organizations, making it difficult to establish and operate. This is particularly problematic for small and newly established organizations that lack the resources to cope with the additional administrative burden. The law has a “dilutive effect” on freedom of expression, leading to self-censorship when expressing critical opinions. This effect is particularly pronounced on politically and socially important issues, where organizations may refrain from criticizing the government for fear of sanctions. Freedom of activity is restricted by strict monitoring and reporting requirements, as well as heavy sanctions, which hinder the effective work of organizations. These restrictions are particularly problematic for organizations working to protect human rights, which are often critical of the government. The Venice Commission and the OSCE/ODIHR note that the restrictions imposed by the law are disproportionate and contrary to international standards. The law significantly hinders the development of civil society and ultimately reduces pluralism, hinders public dialogue, and limits participation in democratic processes.

Keywords: Transparency of Foreign Influence, Legislation, NGOs, Council of Europe, Funding.

**პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე
გამჭვირვალობის კანონის მოქმედების პირობებში**

გოგა ხატიაშვილი

დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

gkhatiashvili23@sabauni.edu.ge

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი არამიზნობრივად და არაპროპორციულად ერევა პირის პირადი ცხოვრების სფეროში. კანონის თანახმად, მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოიძიოს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, რომელიც შეეხება პირის შესახებ სენსიტიურ ინფორმაციას, მაგალითად როგორიცაა: პირის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება, პოლიტიკური შეხედულება, რელიგიური მრწამსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სქესობრივი ცხოვრება. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია თუ დაწესებულება, რომელსაც მოსთხოვენ აღნიშნული ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას მის ხელთ არსებული ყველა მონაცემი. აღნიშნული რეგულაცია არ ადგენს რაიმე შეზღუდვას მისაღები ინფორმაციის კატეგორიის, სენსიტიურობისა თუ პრივატულობის მიხედვით. ფაქტობრივად, სახელმწიფოს ნებისმიერი პერსონალური მონაცემის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს. აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნამ შესაძლოა დამაზიანებელი გავლენა მოახდინოს კონკრეტული ორგანიზაციის დონორებისა და მათი ბენეფიციარების პირად ცხოვრებაზე. ამგვარი ფართო დისკრეციის პირობებში, მაღალია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან პირის პირად ცხოვრებაში არამიზნობრივი ჩარევისა და ხელყოფის რისკები. ბუნდოვანია, თუ რატომაა საჭირო განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შეგროვება „უცხოური ძალის“ გავლენის გამოსავლენად. პირადი მონაცემები არ უნდა იქნას გამოყენებული ავტომატურად, შესაბამისი კონკრეტული გარანტიების გარეშე, როგორც ეს განსაზღვრულია „პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისაგან პირთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი ვერ ასაბუთებს გამოყენებული ინსტრუმენტის ლეგიტიმურ მიზანსა და პროპორციულობას, ანგარიშვალდებულების მოთხოვნა ვერ იქნება შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებით დაცულ ადამიანის უფლებებთან, დაარღვევს პირადი ცხოვრებისა და ღირსების უფლებას.

საკვანძო სიტყვები: უცხოური გავლენის გამჭვირვალობა, ადამიანის უფლებები, პერსონალური მონაცემები, პირადი ცხოვრება.

The Threat of Invasion of Personal Data and Privacy Under the Transparency Law

Goga Khatiashvili

PhS Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

gkhatiashvili23@sabauni.edu.ge

The Georgian Law “On Transparency of Foreign Influence” interferes disproportionately and inappropriately in the sphere of a person’s private life. According to the law, a person authorized by the Ministry of Justice of Georgia to conduct monitoring has the right to search, among other things, for special categories of personal data that relate to sensitive information about a person, such as: a person’s racial or ethnic affiliation, political views, religious beliefs, health status, sexual life. Any person, body, organization or institution that is requested to provide the aforementioned information is obliged to immediately provide it with all the data at its disposal. The aforementioned regulation does not establish any restrictions on the category of information to be received, its sensitivity or privacy. In fact, it grants the state the authority to receive any personal data, including special categories of personal data. The request for this information may have a detrimental impact on the private lives of donors and beneficiaries of a particular organization. In the context of such broad discretion, the risks of unwarranted interference and encroachment on a person’s private life by an administrative body are high. It is unclear why it is necessary to collect special categories of personal data to detect the influence of a “foreign power”. Personal data should not be used automatically without appropriate specific safeguards, as defined in the Council of Europe Convention for the Protection of Individuals regarding Automatic Processing of Personal Data. Thus, if the legislator fails to justify the legitimate aim and proportionality of the instrument used, the requirement for accountability will not be consistent with human rights protected by international conventions and will violate the right to private life and dignity.

Keywords: Transparency of Foreign Influence, Human Rights, Personal Data, Private Life.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სამართლის განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო გამოცდილება

ნატო გუგავა

ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
nato.gugava@sabauni.edu.ge

პერსონალური მონაცემების დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა თანამედროვე მსოფლიოსათვის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი, დროსთან ერთად, უფრო აქტუალური ხდება საქართველოსათვის. ტექნოლოგიების განვითარება და მონაცემების გამოყენების მზარდი დინამიკა, თავისთავად უპირობოდ წარმოშობს მონაცემთა რეგულირებისა და შეფასების ეფექტური მეთოდების დანერგვის საჭიროებას. ამიტომაც, მუდმივად განვითარებად ციფრულ სამყაროში პერსონალური მონაცემების დაცვა სულ უფრო და უფრო დიდ გამოწვევას წარმოადგენს, როგორც ინდივიდების, ისე ორგანიზაციებისა და მარეგულირებელი ორგანოებისთვის. მონაცემთა შეგროვების და დამუშავების ტექნოლოგიების მუდმივად განვითარების პირობებში, აუცილებელია, გაუმჯობესდეს პერსონალური ინფორმაციის დაცვის საშუალებები. საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვას გააჩნია თავისი ისტორია და განსაკუთრებული საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობაც, ვინაიდან ევროპული ინტეგრაციის პროცესში საქართველოსთვის არსებითია ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება, მათ შორის 180+ კონვენციის დროული ხელმოწერა და რატიფიკაცია. საქართველოს სახელმწიფოსთვის, რომელიც დეკლარირებულ დონეზე აცხადებს, რომ სურს ევროატლანტიკური ოჯახის წევრობა, კრიტიკულად აუცილებელია გაითვალისწინოს დასავლურ ოჯახში დანესებული სამართლებრივი სტანდარტები. ამ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები, ის ძირითადი მახასიათებლები და ტენდენციები, რაც ქართული ევროპული კანონმდებლობის საფუძველზე დგინდება. შესაბამისად, მოხსენების ფარგლებში, განხილული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სამართლის განვითარების ტენდენციები, ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები და მათი შესაბამისობა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციასა (GDPR) და ევროპის საბჭოს მოდერნიზებულ 108-ე კონვენციასთან.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები, 108 + კონვენცია, მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია, ასოცირების ხელშეკრულება, მონაცემთა დაცვა.

Trends in the Development of Georgian Law on Personal Data Protection and International Experience

Nato Gugava

Associate Professor, Sulkhani-Saba Orbeliani University

nato.gugava@sabauni.edu.ge

Personal data protection and associated risks are one of the main challenges for the modern world. The issue of personal data protection is becoming more relevant for Georgia over time. Development of technologies and growing dynamics of data usage, in turn, inevitably emerge the need for the implementation of effective methods for data regulation and evaluation. That's why, in an ever-developing digital world, the protection of personal data is becoming significant challenge for individuals, organizations and regulatory bodies as well. Throughout constant development of data collection and processing technologies, it is essential to improve the means of protecting personal information. In Georgia, personal data protection has its own history and significant foreign policy, as for Georgia, aligning with EU regulations is essential in the process of European integration, including the timely signing and ratification of more than 180 + conventions. For the state of Georgia, which at the declarative level expresses a desire to become a member of the Euro - Atlantic family, it is critically essential to consider the legal standards established in Western family. In this case, fundamental issues related to personal data, main characteristics and tendencies, which are derived based on Georgian – European legislation. Accordingly, within the scope of the report, the following will be discussed: the development trends of Georgian law on personal data protection, the obligations undertaken under European Union Association Agreement, recent amendments to the law of Georgia on personal data protection and their compliance with the General Data Protection Regulation (GDPR) and the modernized Convention 108 of the Council of Europe.

Key words: Personal Data, 108+ Convention, General Data Protection Regulation, Association Agreement, Data Protection.

**კონკურენციის სამართალი და მისი მნიშვნელობა მომხმარებლისათვის -
მისი აპროქსიმაციის გზა ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში**

სალომე ქავთარაძე

ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
s.kavtaradze@sabauni.edu.ge

კონკურენციის სამართალი ევროკავშირის საერთო ბაზრის ფუნქციონირების ქვაკუთხე-
დია, მისი მეშვეობით მიიღწევა ბაზარზე სამართლიანი კონკურენცია, რაც დადებით გავ-
ლენას ახდენს საბოლოო მომხმარებელზე. ბაზარზე, სადაც მონოპოლიაა და არ არსებობს
კონკურენცია, მომხმარებელს არ რჩება არჩევანი, შესაბამისად იგი იშვიათად თუ აღმოჩ-
ნდება მოგებულ მდგომარეობაში. ქართული სამართლებრივი სივრცისათვის კონკურენ-
ციის სამართალი აქტუალური გახდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014 წელს
ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდგომ. სწორედ, ამ პერიოდს უკავ-
შირდება საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა და აღმასრულებელი უწყების ფუნქციონირების
დანწყება. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული პერიოდიდან 10 წელი გავიდა, შესაძ-
ლებელია შეფასებულ იქნას, თუ სად დგას საქართველო დაახლოების გზაზე, რა ვალდე-
ბულებები იქნა შესრულებული და რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა კონკურტული გარე-
მოს ჩამოყალიბებაზე და ახდენს თუ არა დღევანდელი რეგულირება მომხმარებელზე
დადებით გავლენას. მოხსენებაში მიმოხილულ იქნება როგორც საკანონმდებლო ჩარჩო,
ასევე პრაქტიკა და მისი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: კონკურენციის სამართალი, მომხმარებლის უფლებები, კანონმ-
დებლობა, აპროქსიმაცია, ევროკავშირის სამართალი.

Competition Law and Its Importance for the Consumer - The Way of Its Approximation in the Legal Space of the European Union

Salome Kavtaradze

Associate Professor of Sulkhan-Saba Orbeliani University

s.kavtaradze@sabauni.edu.ge

Competition law is the cornerstone of the functioning of the European Union's common market, through which fair competition is achieved in the market, which has a positive impact on the final consumer. In a market where there is a monopoly and there is no competition, the consumer is left with no choice, therefore he rarely finds himself in a winning position. Competition law became relevant for the Georgian legal space after the Association Agreement signed between the European Union and Georgia in 2014. It is precisely this period that is associated with the creation of the legislative framework and the start of the functioning of the executive agency. Given that 10 years have passed since the aforementioned period, it is possible to assess where Georgia stands on the path of convergence, what obligations have been fulfilled and what impact this has had on the formation of a competitive environment, and whether the current regulation has a positive impact on consumers. The report will review both the legislative framework and practice and its analysis.

Keywords: Competition Law, Consumer Rights, Legislation, Approximation, EU law.

ელექტრონული კომერციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის სტანდარტი ევროკავშირსა და საქართველოში

ლიკა კობალაძე

ასისტენტი, დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

l.kobaladze@sabauni.edu.ge

აღსანიშნავია, რომ კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველომ 2011 წელს მიიღო, ხოლო მისი განახლებული ვერსია, რომელიც ევროპის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან (GDPR) დაახლოებულია - 2023 წლის 14 ივნისს და ძალაში 2024 წლის 1 მარტიდან შევა. აღნიშნული ცვლილებით, არსებითად უმჯობესდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვისათვის აქამდე არსებული სტანდარტი. რაც შეეხება ელექტრონული კომერციის პროცესში მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული ელექტრონული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვას, ამ თემებისადმი ინტერესი უფრო მეტად კორონავირუსის („კოვიდ-19“-ის) გავრცელების შემდეგ გაიზრდა, როცა ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. აღნიშნული საკითხი აქტუალურია დღესაც, ვინაიდან ტექნოლოგიური და სამართლებრივი განვითარებისათვის ფეხის აწყობა, განახლებული საკანონმდებლო მოწესრიგება და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ქვეყანას დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ამ სფეროს სრულყოფის პროცესში. შესაბამისად, მოხსენებაში განხილული იქნება ონლაინ ხელშეკრულებებში ქართველ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება/დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და არსებული გამოწვევები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ონლაინ კომერციის პრაქტიკაში დასანერგად, ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა ამ მიმართულებით და ისპერსპექტივა, რაც საქართველომ უნდა განახორციელოს ელექტრონული კომერციის პროცესში, მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, პერსონალური მონაცემები, ევროკავშირის სამართალი, ასოცირების შეთანხმება, კანონმდებლობა, ჰარმონიზაცია.

Personal Data Processing and Protection Standards in the Process of E-Commerce in the European Union and Georgia

Lika Kobaladze

Assistant, PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

l.kobaladze@sabauni.edu.ge

It is noteworthy that Georgia adopted the Law on Personal Data Protection in 2011, and its updated version, which is aligned with the European General Data Protection Regulation (GDPR), will enter into force on June 14, 2023, and will enter into force on March 1, 2024. This change significantly improves the existing standard for the processing/protection of personal data. As for the protection of personal data processed based on an electronic contract concluded between a consumer and a trader in the process of e-commerce, interest in these topics has increased even more after the spread of coronavirus ("Covid-19"), when the country faced new challenges. This issue is still relevant today, since the country's readiness for technological and legal development, updated legislative regulation, and the Association Agreement with the European Union impose additional obligations on the country in the process of improving this area. Accordingly, the report will discuss the compliance of Georgian legislation regulating the processing/protection of personal data of Georgian consumers in online contracts with international standards and existing challenges, the obligations assumed by the country under the Association Agreement between Georgia and the European Union to implement online commerce in practice, the best practices of European countries in this direction, and the prospects for what Georgia should implement in the process of electronic commerce to ensure effective protection of consumers' personal data.

Keywords: E-commerce, Personal Data, EU law, Association Agreement, Legislation, Harmonization.

**ელექტრონული კომერცია ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობაში - ქართული
კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სამართალთან და ასოცირების
შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება**

ოლიგო კობახიძე

ასისტენტი, დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

o.kobakhidze@sabauni.edu.ge

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სამართლებრივი აპროქსიმაციისა და ქვეყნის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვების პროცესში. ელექტრონულ კომერციაში მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ამ პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო რეფორმას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვის გაძლიერებას, ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობის ხელშეწყობასა და ეკონომიკურ წინსვლას. მოხსენებაში დეტალურად იქნება განხილული ის ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში შესრულდა და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ელექტრონული კომერცია და B2C ურთიერთობის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა. მოხსენებაში ასევე განხილულ იქნება მიმდინარე გამოწვევები ამ მიმართულებით და თუ როგორ აისახება და რა გავლენას ახდენს ეს ცვლილებები ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობებზე. მოხსენება ასევე შეეხება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობას და ამ პროცესში საერთაშორისო პარტნიორობის როლსა და ჩართულობას. ასევე ყურადღება დაეთმობა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მათი ნდობის გაძლიერების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, მომხმარებელთა უფლებები, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, ევროპულ სამართალი, ასოცირების შეთანხმება.

**Electronic Commerce in Business-Consumer Relations - Harmonization
of Georgian Legislation with European Law and Fulfillment of Obligations
Under the Association Agreement**

Oliko Kobakhidze

Assistant, PhD Student, Sulkhani-Saba Orbeliani University

o.kobakhidze@sabauni.edu.ge

Within the framework of the obligations assumed under the Association Agreement with the European Union, Georgia has taken significant steps in the process of legal approximation and approximation of the country to European standards. Ensuring the protection of consumer rights in electronic commerce is one of the important legislative reforms in this process, which aims to strengthen consumer protection, promote business-consumer relations and economic progress. The report will discuss in detail the main legislative changes that have been implemented within the framework of the obligations assumed under the Association Agreement and consider issues such as: e-commerce and the protection of consumer rights within the framework of B2C relations. The report will also discuss the current challenges in this direction and how these changes are reflected and what impact they have on business-consumer relations. The report will also touch on the importance of sharing EU best practices and the role and involvement of international partnerships in this process. Attention will also be paid to the importance of the process of harmonization of Georgian legislation in terms of the country's economic development, protection of consumer rights and strengthening their trust.

Keywords: Electronic Commerce, Consumer Rights, Harmonization of Legislation, European law, Association Agreement.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის გამოწვევები საარჩევნო პროცესში**ნანა ჭილაძე**

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nana.chighladze@tsu.ge

შემოთავაზებული მოხსენების თემის აქტუალობას, უპირველესად, განაპირობებს ის გარემოება, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2024 წლის ოქტომბერში, ქართული სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, მორიგი საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება. უდავოა, რომ არჩევნების ახალი ფორმატი ამარტივებს ხმის მიცემისა და დათვლის პროცესს, უზრუნველყოფს ინკლუზიურობის უკეთეს ხარისხს და ხმის მიცემის ხელმისაწვდომობას მონაცემთა დაცვის სფეროსთვის. ამასთან, საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობებს განსხვავებულად წარმოადგენს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ 2024 წლის 01 მარტიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი ამოქმედდა, რომელმაც პირადი ცხოვრების დაცულობის მაღალი სტანდარტი დააწესა, რაც, ცხადია, განსაკუთრებულ დატვირთვას საარჩევნო პროცესის განმავლობაში შეიძენს. არჩევნების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები, რადგან საარჩევნო გარემო, იმავდროულად, პერსონალური მონაცემების დამუშავების მრავალფეროვანი პროცესია. არჩევნების დღეს, თუ მისმოსამზადებელ ეტაპზე ფორმირდება საარჩევნო სიები, ნაწილდება ისინი შესაბამისი უბნების მიხედვით, სადაც იყოფა სპეციალურ, გადასათანი ყუთის და სხვა სიებად. გროვდება და ინახება არჩევნებზე გამოცხადებული ადამიანების სახელები, გვარები, ხელმოწერები, გამოიყენება ამომრჩევლების ფოტოსურათები, პოლიტიკური გაერთიანებები აგროვებენ თავიანთი ამომრჩევლების შესახებ მონაცემებს, ახორციელებენ წინასაარჩევნო აგიტაციას და სხვა. შესაბამისად, მოხსენების ფარგლებში შეფასებული იქნება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების საკანონმდებლო და პრაქტიკული ასპექტები, წარმოდგენილი იქნება იმ გამოწვევების ანალიზი, რომლებიც უკავშირდება ახალი სისტემით ჩატარებულ არჩევნებში ხმის მიცემას პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: პერსონალურ მონაცემები, საარჩევნო პროცესი, ელექტრონული ტექნოლოგიები, ადამიანის უფლებები, კანონმდებლობა.

Personal Data Protection Challenges in the Electoral Process

Nana Chighladze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

nana.chighladze@tsu.ge

The relevance of the topic of the proposed report is primarily determined by the fact that in accordance with the amendments made to the electoral legislation, in October 2024, for the first time in the history of the Georgian state, the next parliamentary elections will be held using electronic means. It is undeniable that the new format of the elections simplifies the voting and counting process, ensures a better quality of inclusiveness and accessibility of voting for vulnerable groups. In addition, the introduction of electronic technologies in the electoral process presents a different opportunity for processing the personal data of electoral subjects. It is also worth noting that from March 1, 2024, the new Law of Georgia “On the Protection of Personal Data” came into force, which established a high standard of privacy protection, which, of course, will acquire a special significance during the electoral process. At all stages of the election process, the requirements established by the Law of Georgia on the Protection of Personal Data and international standards must be ensured, since the electoral environment is, at the same time, a diverse process of processing personal data. On election day, if at the preparatory stage, electoral lists are formed, they are distributed according to the relevant precincts, where they are divided into special, portable box and other lists. Names, surnames, signatures of people who declared for the elections are collected and stored, photographs of voters are used, political unions collect data about their voters, carry out pre-election agitation, etc. Accordingly, within the framework of the report, the legislative and practical aspects of elections conducted using electronic technologies will be assessed, an analysis of the challenges associated with voting in elections conducted using the new system will be presented, taking into account the risks associated with the processing of personal data.

Keywords: Personal Data, Electoral Process, Electronic Technologies, Human Rights, Legislation.

**საქართველოს საარჩევნო გარემო (კანონმდებლობა და პრაქტიკა)
ადამიანის უფლებათა სართაშორისო სამართლის სტანდარტების შუქზე**

თამარ ონიანი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
thamaroniani@gmail.com

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კონცეფცია სცილდება მხოლოდ არჩევნების დღის მოვლენებს. ჯანსაღი საარჩევნო ეკოსისტემა გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ არჩევნების შედეგები ნამდვილად ასახავდეს დემოკრატიულ და სამართლებრივ პროცესებს. დემოკრატიული მმართველობისა და სამართლის უზენაესობის პრინციპები ძირეულად აყალიბებს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის ურთიერთობას. შესაბამისად, ადამიანის უფლებები არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი ცნებები, რომლებიც ადვილად აღსრულებადია ნებისმიერ გარემოში. ხელშესახები რომ გახდეს და მიაღწიოს დასახულ მიზნებს, ადამიანის უფლებები მოითხოვს შესაბამის გარემო პირობებს. ასევე, თავისუფალი არჩევნების უფლება ვერ განხორციელდება თუკი საარჩევნო გარემოში არ იქნება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დაცული. ეს, როგორც ნაშრომშია შემოთავაზებული, მოიცავს ისეთ ინსტრუმენტულ უფლებებს, როგორებიცაა, გამოხატვის, შეკრების, გაერთიანების თავისუფლება და მათი თანმხლები პროცედურული გარანტიები, ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლება. საკონფერენციო მოხსენების მიზანია, თავისუფალი არჩევნების უფლება განმარტოს სხვა თავისუფლებათა შუქზე, დამოიძიოს საერთაშორისო პრაქტიკიდან პასუხები კითხვაზე, სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალი გამოხატვა არჩევნებზე, რამდენად ირღვევა მაშინ, როდესაც სახელმწიფო მომეტებულად: არაკანონიერად და არაპროპორციულად ზღუდავს ისეთ უფლებებს, როგორიცაა შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის თავისუფლებები და მათთან დაკავშირებით არსებული პროცედურული გარანტიები.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო უფლება, საარჩევნო გარემო, კანონმდებლობა, პრაქტიკა, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო სტანდარტები.

Georgia's Electoral Environment (legislation and practice) According to International Human Rights Law Standards

Tamar Oniani

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

thamaroniani@gmail.com

The concept of free and fair elections goes beyond the events of election day. A healthy electoral ecosystem is crucial to ensure that election results truly reflect democratic and legal processes. The principles of democratic governance and the rule of law fundamentally shape the relationship between a state and its citizens. Accordingly, human rights are not abstract legal concepts that can be easily enforced in any environment. To become tangible and achieve their intended goals, human rights require appropriate environmental conditions. Also, the right to free elections cannot be realized if human rights and freedoms are not protected in the electoral environment. This, as proposed in the paper, includes such instrumental rights as freedom of expression, assembly, association and their accompanying procedural guarantees, as well as the right to a fair trial. The aim of the conference report is to interpret the right to free elections in the light of other freedoms, to seek answers from international practice to the question of the extent to which the state's obligation to ensure the free expression of the will of the people at elections is violated when the state excessively: unlawfully and disproportionately restricts such rights as the freedoms of assembly, association, expression and the procedural guarantees related to them.

Keywords: Electoral Right, Electoral Environment, Legislation, Practice, Human Rights, International Standards.

არჩევნების მონიტორინგი და მედია გაშუქება - თანამედროვე გამონვევების კვალდაკვალ

თორნიკე გოგისვანიძე

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tornikegogisvanidze@gmail.com

ბოლო პერიოდში, საქართველოში პოლიტიკურ ჯგუფებს შორის მომეტებული პოლარიზაცია შეინიშნება. პოლიტიკური დღის წესრიგის ცვლილებამ, საჯარო პროცესებში ჩართული ზოგიერთი მხარის მნიშვნელობა მკვეთრად გაზარდა. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯგუფები და პლატფორმები, რომლებსაც პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრათ. ზემოაღნიშნულ ტრენდი შეიძლება შეფასდეს, როგორც საყოველთაო მოვლენა, თუმცა ჩვენი მოხსენების ფარგლებში მთავარი აქცენტების ადრესატი - საქართველოა. არჩევნები დემოკრატიის ქვაკუთხედიანია. საზოგადოებაში არსებული პოლარიზაციის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ჯგუფებს მიენიჭათ, რომლებიც აცხადებენ, რომ დაცლილები არიან პოლიტიკური პრეფერენციებიდან და მოქმედებენ, მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი ინტერესებიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული ჯგუფების საარჩევნო პროცესში ჩართულობა, ქართული კანონმდებლობით, კერძოდ, საარჩევნო კოდექსის V თავით არის გარანტირებული, სადაც საუბარია არჩევნების მონიტორინგსა და მედია სივრცეში მის გაშუქებაზე. აღსანიშნავია, რომ იმისთვის, რათა არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები არჩევნებში დამკვირვებლებად და წარმომადგენლებად დარეგისტრირდნენ, საჭიროა გაიარონ მარტივი სარეგისტრაციო პროცედურები. ერთი შეხედვით, ზემოაღნიშნული მხოლოდ საზოგადოების მაღალ დემოკრატიულ თვითშეგნებაზე მიუთითებს, თუმცა სარეგისტრაციო პროცესის სიმარტივემ, რეალურ მიზანს აშკარა საფრთხეებიც გაუჩინა. მოხსენების ფარგლებში განხილულია აღნიშნული საკითხები, რომლებიც მრავალი ავტორიტეტული ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის ბოლოდროინდელ ანგარიშებშია მოხვედრილი. ვფიქრობთ, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა საჯარო სამართლის აკადემიური წრეების პოზიციაც იქნას გაუღებელი, რათა აქამდე არსებულ მსჯელობებს, გაუჩნდეს კიდევ ერთი პერსპექტივა, რომელიც დაეფუძნება დემოკრატიული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელ საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

საკვანძო სიტყვები: არჩევნების მონიტორინგი, მედია გაშუქება, არჩევნებზე დაკვირვება, პოლარიზაცია, სამოქალაქო საზოგადოება.

Election Monitoring and Media Coverage - In the Footsteps of Modern Challenges

Tornike Gogisvanidze

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tornikegogisvanidze@gmail.com

Recently, there has been increased polarization among political groups in Georgia. The change in the political agenda has sharply increased the importance of some parties involved in public processes. Public organizations, groups and platforms operating in various fields, which have been assigned an important role in the political agenda, have come under special attention. The above-mentioned trend can be assessed as a universal phenomenon, however, within the framework of our report, the main addressee of the accents is Georgia. Elections are the cornerstone of democracy. In the conditions of polarization in society, special importance has been given to those groups that claim to be devoid of political preferences and act only based on the genuine interests of civil society. The involvement of the above-mentioned groups in the electoral process is guaranteed by Georgian legislation, in particular, by Chapter V of the Election Code, which deals with election monitoring and its coverage in the media space. It is worth noting that in order for NGOs and media outlets to register as observers and representatives in elections, they need to go through simple registration procedures. At first glance, the above only indicates a high democratic self-awareness of society, however, the simplicity of the registration process has also created obvious threats to the real goal. The report discusses the issues, which have been included in recent reports by many authoritative local and international research organizations. We believe that, given the importance of the issue, the position of academic circles in public law should also be voiced, so that the existing discussions can have another perspective, which will be based on international standards and best practices characteristic of democratic societies.

Keywords: Election Monitoring, Media Coverage, Election Observation, Polarization, Civil Society.

სანდო საარჩევნო პროცესი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი

გიორგი ეზუგბაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ezugbaiagiorgi@yahoo.com

სანდო საარჩევნო პროცესი წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედს, შესაბამისად საარჩევნო პროცესის სანდოობის ხარისხისთვის საფრთხის მატარებელი გამოწვევები საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და შესაბამისი ზომების მიღებას. წინამდებარე მოხსენება შეეხება მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც აზიანებს საარჩევნო პროცესის მიმართ სანდოობას, როგორიცაა არჩევნების გაყალბება, ადმინისტრირების არაეფექტიანობა და დეზინფორმაციის გავლენა. მოხსენება ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ უწყობს ხელს ისეთი საკითხები, როგორიცაა ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პროცესის ნაკლოვანებები, ხმის მიცემის მოძველებული ტექნოლოგია და მედიის მხრიდან საარჩევნო პროცესის მიკერძოებული გაშუქება, საზოგადოების სკეპტიციზმს დაამცირებს ნდობას არჩევნების შედეგების მიმართ. ამ გამოწვევების გადასაჭრელად მოხსენებაში შემოთავაზებულია რამდენიმე გამოსავალი: ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პროცესის გაუმჯობესება გაყალბების თავიდანაშაყილებლად, თანამედროვე და უსაფრთხო ხმის მიცემის ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო მოხელეებისთვის ყოვლისმომცველი ტრენინგების განხორციელება ადმინისტრირების პროცესის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. იგი ასევე ხაზს უსვამს დეზინფორმაციასთან ბრძოლის მნიშვნელობას მედიაწიგნიერების ძლიერი პროგრამებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით. გარდა ამისა, დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიების შექმნა და საერთაშორისო საარჩევნო მონიტორინგის წახალისება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვის გარანტია. აღნიშნული ზომების მიღებით შესაძლებელია საარჩევნო პროცესების გაძლიერება, მის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენა და დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმურობის მხარდაჭერა. ეს მოხსენება ხაზს უსვამს ჩართული მხარეების მხრიდან კოორდინაციის აუცილებლობას საარჩევნო პროცესის სანდოობის მიმართ არსებული გამოწვევების გადანყვეტისა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო პროცესი, სანდოობა, არჩევნების გაყალბება, ადმინისტრირების არაეფექტიანობა, დეზინფორმაცია, კანონმდებლობა.

Credible Electoral Process as a Cornerstone of a Democratic State

Giorgi Ezugbaia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ezugbaia giorgi@yahoo.com

A credible electoral process is the cornerstone of a democratic state, and challenges that threaten the credibility of the electoral process require special attention and appropriate measures. This report addresses important problems that undermine the credibility of the electoral process, such as voter fraud, administrative inefficiency, and the influence of disinformation. The report highlights how issues such as shortcomings in the voter identification process, outdated voting technology, and biased media coverage of the election process contribute to public skepticism and undermine confidence in the election results. To address these challenges, the report proposes several solutions: improving the voter identification process to prevent fraud, introducing modern and secure voting technologies, and conducting comprehensive training for election officials to improve the efficiency of the administration process. It also highlights the importance of combating disinformation through strong media literacy programs and ensuring transparency in the activities of election administration bodies. In addition, the establishment of independent election commissions and the encouragement of international election monitoring can be seen as a guarantee of respect for the principles of impartiality and accountability. These measures can strengthen electoral processes, restore public trust in them, and support the legitimacy of democratic institutions. This report highlights the need for coordination among stakeholders to address challenges to the credibility of the electoral process and ensure fair elections.

Keywords: Electoral Process, Credibility, Election Fraud, Administrative Inefficiency, Disinformation, Legislation.

საქართველოში ქალთა დაბალი პოლიტიკური ჩართულობის გამოწვევების გადაჭრის გზები ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე

თამარ გურჩიანი

ასოცირებული პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა
tamar.gurchiani@iliauni.edu.ge

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო მეთაურების, მინისტრების და პოლიტიკური პარტიების ლიდერების პოზიციებზე, როგორც ევროკავშირში, ასევე საქართველოში. ეს ფაქტობრივი გარემოება ქალთა დაბალი პოლიტიკური აქტიურობის არა მხოლოდ შედეგი, არამედ მიზეზიც არის. არსებული გენდერული სტერეოტიპების თანახმად პოლიტიკა კაცების სფეროდ არის მიჩნეული და შესაბამისად ის მტრულად არის განწყობილი ქალების მიმართ. ტრადიციული გენდერული როლები და მოლოდინები ოჯახურ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით ქალებისთვის პოლიტიკურ კარიერას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის. ქალი პოლიტიკოსები ხშირად არიან გენდერულად მიკერძოებული მედიის სამიზნეც, რომელიც ფოკუსირებულია მათ გარეგნობაზე ან პირად ცხოვრებაზე, რაც ამცირებს მათ სანდოობას. ქალები ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკაშიც ხდებიან სექსუალური შევიწროების და ძალადობის მსხვერპლი. პოლიტიკურ პარტიებში არსებული გარემო ქალებს სტრუქტურულ ბარიერებს უქმნის, რომლებიც ხელს უშლის მათ პოლიტიკაში ჩართვას და დაწინაურებას. ქალებს არამხოლოდ მხარდაჭერის ქსელებსა და ფინანსურ რესურსებზე არ მიუწვდებიან ხელი, არამედ შიდა-პარტიულმა სისტემებმა და კულტურამ შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს კაც კანდიდატებს და საერთოდ ვერ უზრუნველყოს სასტარტო თანაბარი შესაძლებლობები ქალებისთვის. გენდერული კვოტების გაუქმება და ქალებზე ორიენტირებული პოლიტიკის არარსებობა ქალების დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზია. მომხსენებელი მიმოიხილავს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის სამართლებრივ ისტორიას საქართველოსა და ევროკავშირში, ევროკავშირის ქვეყნებში გამოცდილ სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებიც აუცილებელია ამ სფეროში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, არჩევნები, ქალთა უფლებები, სტერეოტიპი.

Ways to Address the Challenges of Low Political Participation of Women in Georgia Based on the Example of EU Countries

Tamar Gurchiani

Associate Professor, Ilia State University School of Law

tamar.gurchiani@iliauni.edu.ge

Women are underrepresented in the positions of heads of state, ministers, and leaders of political parties, both in the European Union and in Georgia. This factual circumstance is not only a consequence, but also a cause of women's low political activity. According to existing gender stereotypes, politics is considered a male domain and, accordingly, it is hostile towards women. Traditional gender roles and expectations regarding family responsibilities make a political career virtually impossible for women. Female politicians are also often the target of gender-biased media, which focuses on their appearance or personal lives, which reduces their credibility. Women become victims of sexual harassment and violence in all spheres of life, including politics. The environment within political parties creates structural barriers for women that prevent them from participating in politics and advancing. Not only do women lack access to support networks and financial resources, but internal party systems and cultures may favor male candidates and fail to provide equal opportunities for women at the outset. The abolition of gender quotas and the absence of women-oriented policies are among the reasons for women's low political participation. The speaker will review the legal history of women's political participation in Georgia and the European Union, as well as the various strategies experienced in EU countries that are necessary to address the challenges in this area.

Keywords: Gender, Elections, Women's rights, Stereotype.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მათი პოლიტიკური ჩართულობა არჩევნებში

ხატია ცეცხლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკის იურისტი და ადმინისტრატორი

khatia.tsetskhladze.1@iliauni.edu.ge

